# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 072 (12 447) 27 მარტი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## მე თქვენ გასწავლით ლიდერობას

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან »» 5

## ქალებმა გზა გაირთულეს

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური »» 12

# კმარა



გუშინ ბელფასტში. ჩრდილოეთ ირლანდია-საქართველო 4:1. ბურთით ლევან ყენია »» 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## ბულგარეთი-ფინეთი 2:1

ბულგარეთი: ივანკოვი (46. გ. პეტკოვი), მილანოვი (46. ლაზაროვი), ტუნჩევი, ტომაშიჩი, ვენკოვი (56. ილიევი), ს. პეტროვი, ანგელოვი, დიმიტროვი, გეორგიევი (65. გენჩევი), მ. პეტროვი (75. კაკალოვი), ბერბატოვი (85. სრმოვი)

ფინეთი: ენკელმანი, პასოია, ერიომენკო (84. საარინენი), ტაინიო (73. ვარინენი), ფორსელი (61. სვანბაკი), ლიტმანენი (46. პოია), კოლკა, კუივასტო, ლამპი (79. ნიმანი), კალიო, იოჰანსონი.

გოლები: 0:1 ლიტმანენი (22-პენ), 1:1 ზ. ლაზაროვი (49), 2:1 გენჩევი (90+2)

მაყურებელი: 5 000

## უკრაინა-სერბეთი 2:0

უკრაინა: კერნიზენკო, ნესმაჩნი, მანძიუკი, ტიმოშჩუკი, ჩიგრინსკი, შევჩენკო (87. გლადკი), გოლაიდო (88. ვორობეი), გუსევი (55. გაი), ვორონინი (76. მილევსკი), დოპილკა, ნაზარენკო.

სერბეთი: სტოიკოვიჩი, რუკავინა, ვიდიჩი (72. რნიჩი), ივანოვიჩი, სმილიანიჩი (82. ნ. კოვაჩევიჩი), ლაზოვიჩი (46. იოვანოვიჩი), სულეიმანი (82. ტოშიჩი), დ. სტანკოვიჩი (72. იანკოვიჩი), ლუკოვიჩი, ჟიგიჩი (68. ილიჩი), კუზმანოვიჩი.

გოლები: 1:0 შევჩენკო (54), 2:0 ნაზარენკო (57)

მაყურებელი: 40 000

## უნგრეთი-სლოვენია 0:1

უნგრეთი: ფულოპი, ჟელეში, ტიმარი, იუჰაში, ვანჩაკი, ჟიდაი (39. ჟიდაი), ვაში (80. ძიუმადია), ტოცერი (74. ვადოჩი), ბუჟაკი (46. ფერენცი), ჰუშტი, პრისკინი (63. ოროში).

სლოვენია: ჰანდანოვიჩი, ბრეშკო (70. ილიჩი), იოკიჩი, მიორეცი, შულერი, კირმი (88. მატიჩი), შტევანოვიჩი, შიშიჩი, ჟლოგარი, ბირსა (53. იუკანი), ნოვაკოვიჩი (77. დედიჩი).

გოლი: 0:1 შიშიჩი (59)

მაყურებელი: 7 000

## ბელარუსი-თურქეთი 2:2

ბელარუსი: ჟევნოვი (46. ხომუტოვსკი), ფილიპენკო, კირენკინი, სკვერნიუკი (24. პლასნოკი), პუცილა (88. შიტაუ), კორტკიო, ა. გლები, კულჩი, რომაშჩენკო, კუტუზოვი (46. ვ. გლები), ბულიგა.

თურქეთი: სერვეთ ჩეთინი, ჰაქან ბალთა, ჰამით ალთინთოფი (22. საბრი სარიოგლუ), თოლგა ზენგინი, ჩუიჰუნ გიულსელამი, მეჰმეთ აურელიო (46. სალჩუქ საჰინი), მეჰმეთ თოფალი, ნიჰათ ქავეჩი, გიოქჰან უნალი (46. მევლუთ ერდინჩი), თუნჯაი ქანლი (78. გიოქჰან გიონული), სერდარ ოზქანი (61. არდა თურანი/67. თუმერ მეთინი).

გოლები: 1:0 კუტუზოვი (35), 1:1 თუნჯაი ქანლი (38), 2:1 ვ. გლები (64), 2:2 თუმერ მეთინი (71)

მაყურებელი: 15 000

## ეგვიპტე-არგენტინა 0:2

ეგვიპტე: ალ-ჰადარი, ზაქი, საიდი, გომაა, აბდ რაბუ, მოავადი, ჰასანი, აბუთრიქა (81. ფათჰი), მოტაები, შავკი, ზიდანი (74. მოჰამედი).

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, დემიკელისი (82. კოლოჩინი), ბურდისო, ჰაინცე, მასკერანო, გახო, მაქსი როდრიგესი (89. საბალეტა), ლუჩო გონსალესი, აგუერო (85. ლ. ლოპესი), კრუსი (69. კავენაგი).

გოლები: 0:1 აგუერო (65), 0:2 ბურდისო (84)

## ჩერნოგორია-ნორვეგია 3:1

ჩერნოგორია: პოლეკშიჩი, იოვანოვიჩი, პავიჩევიჩი, პეიოვიჩი (58. ოგნიანოვიჩი), ტანაშიევიჩი, ბოშკოვიჩი (69. ნოვაკოვიჩი), ბოჟოვიჩი, დრინჩიჩი, ვუკჩევიჩი (30. ბოგავაცი), ბურჟანოვიჩი, დიალოვიჩი (89. ლაკიჩი).

ნორვეგია: ორდალი, ჰანგელანდი, რეგინიუსენი, ი-ა. რიისე, სტორბეკი (46. ჰოილანდი), ანდერსენი (46. ბაკე), პედერსენი (46. ივერსენი), სკიელბრედი, სოლი (78. ნევლანდი), სტრომსტადი (77. ჰესტადი), კარიუ.

გაძევება: იოვანოვიჩი (81. ჩერნოგორია)

გოლები: 1:0 ბურჟანოვიჩი (7), 2:0 ბოშკოვიჩი (37), 3:0 დიალოვიჩი (59), 3:1 კარიუ (72)

## რუმინეთი-რუსეთი 3:0

რუმინეთი: პოპა (89. სტენკე), კონტრა (70. ოგერარიუ), ტამაში (37. ო. პეტრე), გოიანი, რაცი (89. შეპში), რადოი, კივუ (46. დიკე), ფ. პეტრე, კოჩიში (82. მ. ნიკულაე), მუტუ (46. მ. ნიკულაე), მარიკა (46. დ. ნიკულაე)

რუსეთი: აკინფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი (65. სიჩოვი), შიროკოვი, ბისტროვი, სემშოვი, ბილიალეტდინოვი (61. ტორბინსკი), ჟირკოვი, ადამოვი (59. პავლიუჩენკო).

გოლები: 1:0 მარიკა (45), 2:0 დ. ნიკულაე (60), 3:0 მ. ნიკულაე (75)

მაყურებელი: 16 000

## დანია-ჩეხეთი 1:1

დანია: სიორენსენი, უ. ლაურსენი, მ. ლაურსენი (46. კროლდრუპი), რასმუსენი (58. ნ. იენსენი), კვისტი, პოულსენი, რომედალი, კრისტენსენი (64. რანდრუპი), ბეკმანი (46. პერესი), ტომასონი (73. ტიგესენი), ბენდტნერი.

ჩეხეთი: ბლაჟეკი, იუფალუში, როზენალი, პოსპეჩი, კადლეცი, იაროლიმი (73. სტრესტიკი), სიონკო (46. პლასილი), გალაშეკი (46. მატეიოვსკი), პოლაკი, ბაროში (62. ფენინი), კოლერი.

გოლები: 1:0 ბენდტნერი (25), 1:1 კოლერი (42)

მაყურებელი: 10 467

## სლოვაკეთი-ისლანდია 1:2

სლოვაკეთი: მუხი, ჩიშოვსკი (79. კრაიჩიკი), შკრტელი, ჰუბოჩანი (64. ი. დურიცა), მ. ჩეხი, ბორბელი (64. შტრბა), შეშტაკი, საპარა (45. ვიტეკი), ჰამშიკი, ჰოლოშკო (46. იეჟი), იაკუბკო (46. მინტალი).

ისლანდია: სტურლუსონი, სტეინსონი (66. ტორარინსონი), კ. სიგურდსონი, რ. სიგურდსონი, ერიქსონი, ა. გუნარსონი, ბიარნასონი (64. ტორვალდსონი), გისლასონი, სკულასონი, ჰალფრედსონი (90. გუდმუნდსონი), გუდიონსენი (90. ვ. გუნარსონი)

გოლები: 0:1 ტორვალდსონი (70), 0:2 გუდიონსენი (82), 1:2 მინტალი (87)

მაყურებელი: 4 120

## ლუქსემბურგი-უელსი 0:2

ლუქსემბურგი: ობერვაისი, ჟუბერი, შტრასერი, ჰოფმანი, მუტჩი, კინტციგერი, ვაგნერი, ლიუიკი (66. და მოტა ალვეში), რემი, ლანგი (66. პეტერსი), იოახიმი (66. კიტენგე).

უელსი: პრაისი (46. მიჰილი), რიკეტსი, უილიამსი, მორგანი, ნიატანგა, ირდლი (64. დაფი), კ. ფლეტჩერი, კუმასი, დევისი, ისტერი (46. ტუდურ-ჯონსი), ისტვუდი.

გოლები: 0:1 ისტვუდი (37), 0:2 ისტვუდი (46)

## ავსტრია-ჰოლანდია 3:4

ავსტრია: პეიერი, პოგატეტცი, გარიჩი, გერკალიუ, პროდლი, ივანშიტცი, ზაუმელი, ფუხსი (75. ვაისენბერგერი), ლაიტგები, ლინცი (65. იანკო), ჰარნიკი (65. სტანდფესტი).

ჰოლანდია: ტიმერი, ჰეიტინგა, მატიისენი (46. ზეედორფი), დე კლერი (80. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი), ოოიერი, ვან ბრონკჰორსტი, ვან დერ ვაარტი (70. ბაბელი), დე ზეეუვი (46. ბუმა), ვან პერსი (90. დე იონგი), ჰუნტელაარი, სნეიდერი.

გოლები: 1:0 ივანშიტცი (6), 2:0 პროდლი (19), 3:0 პროდლი (36), 3:1 ჰუნტელაარი (38), 3:2 ჰეიტინგა (67), 3:3 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (83), 3:4 ჰუნტელაარი (87)

მაყურებელი: 40 500

## პოლონეთი-აშშ 0:3

პოლონეთი: ბორუცი, ბაკი, ვასილევსკი, ბრონოვიცკი, კრჟინოვეკი (46. სმოლიარეკი), რადომსკი (63. გოლინსკი), ლევანდოვსკი, დუდკა, ჟურავსკი (46. გარგულა), ბროჟეკი (46. მატუსიაკი), პიშჩეკი (46. ლობოძინსკი).

აშშ: ჰოვარდი, ჩერუნდოლო (72. სპექტორი), ონიევუ (63. დემერიტი), ბოკანეგრა, პირსი (85. ფილბახერი), დემპსი, კლარკი, დონოვანი (63. ლუისი), ჩინგი (63. ვოლფი), ბრედლი, ჯონსონი.

გოლები: 0:1 ბოკანეგრა (12), 0:2 ონიევუ (35), 0:3 ე. ლუისი (73)

მაყურებელი: 15 000

## პორტუგალია-საბერძნეთი 1:2

პორტუგალია: რიკარდო, ფერნანდორ მეირა (46. ჟოზე ფრეიტასი), პაულო ფერეირა, კანეირა (55. უგო ალმეიდა), მიგელ ველოზო (69. რაულ მეირელესი), რიკარდო კარვალიო, კუარეშმა (68. ჟორჟე რიბეირო), კარლუშ მარტინსი, პეპე (55. ბრუნო ალვეში), ნუნუ გომეში, სიმაო (19. ჟოაო მუტინიო).

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, კირგიაკოსი, პაცაცოგლუ (46. იანაკოპულოსი), ანცასი, ტოროსიდისი, კარაგუნისი, ბასინასი, კაცურანისი, გეკასი (67. გუმასი), ხარისტეასი, ამანატიდისი (46. სამარასი).

გოლები: 0:1 კარაგუნისი (34), 0:2 კარაგუნისი (60), 1:2 ნუნუ გომეში (76)

მაყურებელი: 30 000

## ბელგია-მაროკო 1:4

ბელგია: სტიინენი, კომპანი (85. გერაერტსი), სიმონსი, ვან ბუიტენმი (46. ფელაინი), ვერმაელენი, ჟილე (46. სვერტსი), მუდინგაი, ვერტონგენი, დე სმეტი (46. ვიტსელი), დემბელე (80. პიერონი), მირალა (63. სონკი).

მაროკო: ლამიაგრი, აინი, ბასერი, ელ-ქადური, ერბატი, ხარჯა, საფრი (60. ჰერმაში), ალუდი (87. აბუშერუანი), შამახი (88. ბენჟელუნი), ჰაჯი (46. ელ-ზარი, სექტიუი (38. ბუსუფა).

გოლები: 0:1 ალუდი (14), 0:2 სექტიუი (34), 1:2 ვიტცელი (50), 1:3 ელ-ზარი (85), 1:4 ბენჟელუნი (89)

## ბრაზილია-შვედეთი 1:0

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ლუსიო, დანიელ ალვეში (73. რაფინია), ალექსი, ლუიშ ფაბიანო (60. პატო), ჟილბერტო სილვა, ჟულიო ბაპტიშტა (60. ანდერსონი), დიეგო (65. ტიაგო ნევეში), ჟოსუე (63. ლიმა ერნანდესი), რიჩარლისონი (73. მარსელო), რობინიო.

შვედეთი: ისაქსონი (46. შააბანი), მელბერგი, მ. ნილსონი (46. დორსინი), მაისტოროვიჩი, სტოორი, ა. სვენსონი (49. ოლბაკი), ლიუნგბერგი, კალსტრიომი, ს. ლარსონი, ელმანდერი, როზენბერგი.

გოლი: 1:0 პატო (72)

მაყურებელი: 60 021



საფრანგეთი-ინგლისი 1:0. რიბერისა და ეშლი კოულის ორთაბრძოლა

## შვეიცარია-გერმანია 0:4

შვეიცარია: ბენალიო, ლიხტშტაინერი, ეგიმანი, სენდეროსი (74. ფონ ბერგენი), შპიხერი, ინლერი, ბეჰრამი (58. ჟიგაქსი), ფერნანდესი, ბარნეტა (79. ფონლანტენი), ფრაი (83. ჰ. იაკინი), დერდიოკი (46. ნ'კუფო).

გერმანია: ლემანი, ლამი (87. ტროხოვკი), მერტეზაკერი, ვესტერმანი, იანსენი (79. როლფსი), ფრიტცი (72. ა. ფრიდრიხი), ბალაკი, ჰიტცლშპერგერი, შვაინშტაიგერი, კლოზე (58. პოდოლსკი), გომესი (75. კურანი).

გოლები: 0:1 კლოზე (23), 0:2 გომესი (61), 0:3 გომესი (67), 0:4 პოდოლსკი (89)

მაყურებელი: 38 500

## საფრანგეთი-ინგლისი 1:0

საფრანგეთი: კუპე, აბიდალი, კლერკი, გალასი, ტიურამი, მაკელელე, რიბერი, ტულალანი, ანელკა (80. ჯ. სისე), მალუდა, ტრეზეგე (64. გოვუ).

ინგლისი: ჯეიმსი, ბერი, ბრაუნი (63. ჯონსონი), ე. კოული, ფერდინანდი, ტერი (46. ლესკოტი), ბექჰემი (63. ბენტლი), ჯ. კოული (46. დაუნინგი), ჯერარდი (46. კრაუჩი), ჰარგრივზი, რუნი (46. ოუენი).

გოლი: 1:0 რიბერი (31)

მაყურებელი: 76 000

## შოტლანდია-ხორვატია 1:1

შოტლანდია: გორდონი, ნეისმიტი (62. მაკეველი), კოლდუელი (70. ანდერსონი), ჰატონი, მაკმანუსი, ჰარტლი, დ. ფლეტჩერი (90. ალექსანდერი), ბრაუნი (66. ტილი), მელონი (72. ბოიდი), კ. მილერი, ს. ფლეტჩერი (46. რაე).

ხორვატია: პლეტიკოშა, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი (73. კნეჟევიჩი), კორლუკა (85. შიმიჩი), სრნა (63. იერკო ლეკო), კრანჩარი, ნ. კოვაჩი (46. ვუკოევიჩი), პრანიჩი, მოდრიჩი, პეტრიჩი (58. კლასნიჩი), ოლიჩი (57. ბუდანი).

გოლები: 0:1 კრანჩარი (10), 1:1 კ. მილერი (30)

მაყურებელი: 28 821

## ესპანეთი-იტალია 1:0

ესპანეთი: კასილიასი, მარჩენა, პუიოლი (17. რაულ ალბიოლი), კაპდევილა, სერხიო რამოსი (73. არბელოა), ჩავი, ინიესტა, მარკოს სენა (58. ჩაბი ალონსო), ფაბრეგასი (67. ლუის გარსია), სილვა (59. რიერა), ფერნანდო ტორესი (46. ვილია).

იტალია: ბუფონი, მატერაცი (46. ბარძალი), პანუჩი (67. ძამბროტა), კანავარო, გროსო, პეროტა (59. აკვილანი), კამორანეზი, დე როსი, პირლო (46. გატუზო), ტონი (46. ბორიელო), დი ნატალე (73. იაკვინტა).

გოლი: 1:0 ვილია (76)

მაყურებელი: 30 000

## ლიტვა-აზერბაიჯანი 1:0

გოლი: 1:0 კსანავიჩიუსი (38)

## ესტონეთი-კანადა 2:0

გოლები: 1:0 სტალტერი (59-პენ), 2:0 ზაჰოვაიკო (90)

## ს. აფრიკა-პარაგვაი 3:0

გოლები: 1:0 მდედლე (37), 2:0 მაკარტი (46), 3:0 ჩაბალალა (63)

## ალჟირი-კონგოს დრ 1:1

გოლები: 0:1 მბოკანი (25), 1:1 გილესი (90-პენ)

## სომხეთი-ყაზახეთი 1:0

გოლი: 1:0 მანუჩარიანი (68)

## კოტ დ'ივუარი-ტუნისი 0:2

გოლები: 0:1 შიხაუი (54), 0:2 ზუაგი (79)

## ისრაელი-ჩილე 1:0

გოლი: 1:0 ბენაიუნი (30)

## მალტა-ლიხტენშტაინი 7:1

გოლები: 1:0 მ. მიფსუდი (2-პენ), 2:0 მ. მიფსუდი (17), 3:0 მ. მიფსუდი (21-პენ), 4:0 პეისი (35), 4:1 ბურგმაიერი (51), 5:1 მ. მიფსუდი (59), 6:1 მ. მიფსუდი (69), 7:1 საიდი (86)

## ანდორა-ლატვია 0:3

გოლები: 0:1 ივანოვსი (10), 0:2 პერეპლიოტკინი (24), 0:3 რიმკუსი (41)

## ბოსნია-მაკედონია 2:2

გოლები: 1:0 დამიანოვიჩი (17), 2:0 დამიანოვიჩი (19), 2:1 მაზნოვი (40), 2:2 მაზნოვი (45)

## მექსიკა-განა 2:1

გოლები: 0:1 ესიენსი (55), 1:1 სალსიდო (77), 2:1 პარდო (86-პენ)

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლაუს, კმარა!

## შევეჩვიეთ სირცხვილს, შევეჩვიეთ ტყუილს...

**ჩრდ. ირლანდია-საქართველო**

**4:1**

26.03. ბელფასტი. "უინძორ პარკი". 15 000 მაყურებელი

1:0 ლაფერტი (25), 2:0 ჰილი (33), 3:0 ლაფერტი (36), 3:1 ჰილი (55. ს.კ.), 4:1 ტომპსონი (87)

*გამოუყენებელი პენალტი: ცქიტიშვილი (ძელი)*

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი (80. მანუსი) - ბეირდი, ჰიუზი, ქრეიგენი (57. მაკოული), ევანსი - გილესპი, ჯონსონი (46. ოკონორი), დევისი (70. გოულტი), ელიოტი - ჰილი (70. ტომპსონი), ლაფერტი (46. ფინი)

საქართველო: მაკარიძე - შაშიაშვილი (80. ჯაკობია), სალუქვაძე, ა. კვახაძე, კალაძე - კობახიძე, კანკავა, ცქიტიშვილი (93. ელიავა), კვირკველია, ყენია (80. ხიდეშელი) - იაშვილი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტელემაყურებელი ვინ მოთვლის, მერამდენედ მოატყუა და შეპირებული ტრანსლაციის ნაცვლად, ფილმი და ტიტრებით მოხდილი ბოდიში შესთავაზა. მიზეზად ტექნიკური პრობლემები მოიყვანეს, მაგრამ ეს გულშემატკივარს ნაკლებად აინტერესებს, მით უფრო, რომ სახელმწიფო ტელევიზიაში ცრუ-ტელეპროგრამა წესადაა ქცეული. და თუ მე, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, შევძელი და ინტერნეტით ვნახე მატჩი, თუ სატელიტური ანტენის მფლობელმა შეძლო იგივე, მაშინ რამდენიმე მილიონით დაფინანსებულმა ტელევიზიამ კეთილი უნდა ინებოს და უპირობოდ შეასრულოს დაპირება!

სხვათა შორის, ეს ორგანიზაცია მაყურებლის ჯიბიდან ფინანსდება და კარგი იქნება, სპორტის მოყვარულთა ინტერესები მეტად თუ იქნება გათვალისწინებული. გულშემატკივარი ამ არხის ცქერისას არაერთხელ გალიზიანებულა, როცა რომელიმე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა გადამწყვეტ მომენტში გაუთიშავთ და მისთვის "მოამბე" შეუთავაზებიათ.

მოკლედ, კარგი იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაცია მომავალში მაინც გაითვალისწინებს გულშემატკივრის სურვილს, ეროვნული ნაკრების თამაშის ჩვენებას სათუოს არ გახდის და მატჩების ტრანსლირებას იმ ტელევიზიებს მიანდობს, სადაც საქმეს უფრო მეტი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდებიან.

თუმცა დღესდღეობით, ფედერაციას ამაზე მნიშვნელოვანი სადარდებელი აქვს. **ტოპმიოლერს** კონტრაქტს უგრძელებს, გუშინდელმა შეხვედრამ კი ახალი ბევრი ვერაფერი გამოაჩინა. მხოლოდ იმაში დავრწმუნდით კიდევ ერთხელ, რომ ჩვენი ნაკრები ძალიან სუსტი გუნდია, რომელსაც ჰყავს ცნობილი, მაგრამ ამ კონკრეტულ სამუშაო ადგილზე უვარგისი მწვრთნელი.

ალბათ, ტოპმიოლერი კვლავ ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლესა და უკეთ ჩატარებულ მეორე ტაიმზე ისაუბრებს, იტყვის, რომ მეორე ნახევარში ბურთს ვფლობდით, შეგვპირდება, რომ პროგრესს სულ მალე დავინახავთ, მაგრამ თავის წილ პასუხისმგებლობას ვერსად გაექცევა. კარგად ვიცით, რომ ჩვენი ნაკრების წევრთა უმრავლესობა საშუალოზე დაბალი დონის ფეხბურთელია, მაგრამ მაშინ ჰერ კლაუსმა ისიც უნდა აგვიხსნას, რა მიზნით ჩაიბარა საქართველოს ნაკრები და რა დასკვნები გამოიტანა წინა დამარცხებებისგან, კონკრეტულად თუნდაც ლატვიასთან ნაგებიდან და რატომ ჰგავდა ეს ორი მატჩი ერთმანეთს. და რაც მთავარია, ერთხელ და საბოლოოდ აგოს პასუხი შედეგზე!

გუშინდელი შეხვედრა კი საქართველოში ძალიან ცოტამ ნახა, მათ შორის მეც გახლდით. წარმატების იმედი დებიუტშივე არ ჩანდა. თამაში, ფაქტობრივად, დაზვერვის გარეშე დაიწყო და პირველი მომენტიც მალე შეიქმნა. **გიორგი მაკარიძემ** ბურთი ცხვირწინ მოიგერია, მაგრამ ირლანდიელის განმეორებითი დარტყმული მოიგერია.

პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრებს რეალური მომენტი, ფაქტობრივად, არ შეუქმნია. სამაგიეროდ, საკუთარი შანსები მასპინძლებმა ფრიადზე გამოიყენეს და ათწუთიან მონაკვეთში გამარჯვება დაიბევეს.

1:0 - **ჯაბა კანკავამ** ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი მეტოქეს ჩააბარა, ირლანდიელებმა ქართული დაცვა სწრაფი ორსვლიანი კომბინაციით სახტად დატოვეს და **ლაფერტიმ** თავისიანები დააწინაურა.

2:0 - **ჰილიმ** შორიდან დაარტყა, მაკარიძეს ალება მართებდა.

3:0 - ლაფერტიმ **ალექსანდრე კვახაძეს** საჰაერო დუელი მოუგო.

ცენტრში კვახაძე-**სალუქვაძის** დუეტი მოქმედებდა, **კალაძე** ამჯერად მარცხენა ფრთაზე გაამწესეს. ნახევარდაცვაში ფლანგებზე **კვირკველია** და **კობახიძე** იდგნენ, ცენტრში კანკავა და **ცქიტიშვილი**. შემტევი ნახევარმცველი **ყენია** იყო, **ფორვარდი** – იაშვილი.

ისევ მოიკოჭლებდა კოორდინაცია რგოლებს შორის, ისევ წავაგეთ თითქმის ყველა საჰაერო ორთაბრძოლა, ისევ დავდექით მეკარის პრობლემის წინაშე, ისევ არ გვყავს ძლიერი თავდამსხმელი, ძლიერი საყრდენი, სახიფათო ფლანგელი... მოკლედ, ძალიან მძიმე სურათია, რაც, სამომავლოდ, პატარა იმედსაც ვერ გვაძლევს. ერთადერთი, ვისაც ვერ გავაკრიტიკებთ, **ლევან ყენიაა**. ნიჭიერმა ნახევარმცველმა თამამად იკისრა გუნდის ლიდერობა და მის თანაგუნდელებს რომ ევარგათ, დიდი ანგარიშით არ დავმარცხდებოდით.

ჩვენი გუნდის ერთადერთი გოლი ყენიას აქტიურობას მოჰყვა. მისი ჩაწოდებული ირლანდიელ მცველს ხელზე მოხვდა. პენალტი ცქიტიშვილმა დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია. დამატებას ისევ ცქიტიშვილი ლამობდა, მაგრამ მეორე გოლის ავტორმა ჰილიმ დაასწრო და ამჯერად საკუთარი კარი დალაშქრა. სხვათაშორის ჰილი, მატჩის დაწყებამდე **მიშელ პლატინიმ** დააჯილდოვა, როგორც წინა შესარჩევის საუკეთესო მეგოლე.

საქართველოს ნაკრების კიდევ ორი მომენტიც ყენიას დამსახურებაა. მან ჯერ იაშვილი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, "კარლსრუეს" ფორვარდმა ბურთი მეკარეს გაარტყა. შეხვედრის მიწურულს კი ყენიამ უკვე თავად სცადა მეტოქის კარის ალება, მაგრამ ბურთი გოლკიპერმა მოიგერია.

ბოლო სიტყვა მაინც მასპინძლებმა თქვეს, რომლებმაც ჩვენი გუნდის საჯარიმოში თავბურთი გააჩალეს. ჯერ სალუქვაძეს აჯობეს, მერე კი ძელთან ჩასაფრებულმა **ტომპსონმა** კობახიძეს დაასწრო და ბურთი ძირსდაუშვებლად, თავით გაახვია მაკარიძის კარის ბადეში.

ისე როგორ იქნებოდა, საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი მეტოქისთვის არ მიეცა მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნის საშუალება. "ლინფილდის" ფორვარდი ჩრდილოირლანდიურ კლუბებში მოთამაშეთაგან პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ბოლო 14 წლის განმავლობაში შეძლო სანაკრებო გოლის გატანა.

ტოპმიოლერმა მოედანზე **ზაალ ელიავა** შეუშვა და ზუსტად 5 წამში მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა. საქართველოს ნაკრების ქომაგს კი იმედი კიდევ ერთხელ მოუკვდა. შემდეგი შესარჩევი ციკლი არცთუ შორსაა, ობიექტურად, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯგუფში ბოლოსწინა ადგილია. ქართული ფეხბურთის სახე ეროვნული ნაკრებია, შესაბამისად, ქართულ ფეხბურთს მახინჯი სახე აქვს.

და რაკი ფეხბურთის ფედერაციამ ყველაზე მეტი ფული ეროვნული ნაკრების მწვრთნელს დაახარჯა, დროა, პასუხი მწვრთნელმაც აგოს და თვით ფედერაციამაც!

**ლევან ჯანეზაშვილი**

მატჩის შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელებთან დაკავშირებას შევეცადეთ და მხოლოდ გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** კომენტარის გაკეთება მოხერხდა.

- რა კომენტარი უნდა გავაკეთო. საზიზღრობაა, როცა ჩრდილოეთ ირლანდიასთან, თუნდაც სტუმრად 1:4-ს აგებ. ფედერაციის ხელმძღვანელები გულჩამწვარი ვართ... სიტყვებიც არ გვყოფნის...

თბილისში დავბრუნდებით, დავჯდებით, ვითათბირებთ და გარკვეულ ზომებს მივიღებთ. ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით.

**დავით ცაბაძე**



ჯაბა კანკავამ (22) მეტოქეს ვერ დაასწრო



კლაუს ტოპმიოლერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ჩაიშალა რეპორტაჟი

გუშინ ქართველმა გულშემატკივარმა ჩრდილოირლანდიისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრის შეპირებული პირდაპირი რეპორტაჟი ვერ იხილა.

მატჩი "საზოგადოებრივ მაუწყებელს" უნდა გადაეცა. თუმცა მატჩის ნაცვლად, ფილმი გადიოდა, მორბენალი სტრიქონი კი გვაცნობდა, რომ მატჩი ტექნიკური პრობლემების გამო არ გადაიცემოდა.

კიდევ კარგი, ქართველმა გულშემატკივარმა გუშინდელი ღამის სირცხვილი არ იხილა. თუმცა სხვა საქმეა, რეპორტაჟი რატომ ჩაიშალა.

დავინტერესდით მიზეზებით და გვითხრეს, რომ სატელიტთან დაკავშირებული პრობლემები შეიქმნა და საქართველოს სიგნალი არ მოეწოდებოდა.

ჩვენ ჩრდილოეთ ირლანდიაში დავუკავშირდით **დავით ყიფიანს**, რომელიც მატჩის რეპორტაჟის ორგანიზებაში უშუალოდ იყო ჩართული.

*"ჩვენ ყველა ტექნიკური და ფინანსური საკითხი წინასწარ მოვაგვარეთ. სიგნალის გამომშვებთანაც და მიმღებთანაც ყველანაირი პრობლემა მოგვარებული იყო. რაც მთავარია, ქართულმა მხარემ რეპორტაჟის თანხა გადაიხადა. მიუხედავად ამისა, რეპორტაჟი მაინც ჩაიშალა. რატომ, ამას თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავარკვევთ."*

**მერაბ მამულაშვილი**

# გეგუჩაძეს ევროპაში იწვევენ

## მოსკოვის სპარტაკი და დერდენი გაგრით დაინტერესდნენ

ორი დღის წინათ პირველი ლიგის ლიდერ "გაგრის" სპორტული დირექტორი **გია გეგუჩაძე** თანამდებობიდან გადადგა. ამან გაუგებრობა გამოიწვია, ბევრმა იფიქრა, რომ გუნდში არეულობაა და ა.შ.

გუშინ მედიასთან კლუბის პრეზიდენტის **ბესო ჩიხრაძისა** და თავად გია გეგუჩაძის ერთად გამოჩენამ ეჭვები გაფანტა.

ბესო ჩიხრაძე: *გია წელიწადნახევრის წინათ კიევში გავიცანი, ბევრი ვისაუბრეთ და მივხვდი, რომ საფეხბურთო და ცხოვრებისეულ საკითხებში თანამოაზრეები ვიყავით. 2006 წლის ზაფხულში "გაგრაში" მოვიწვიეთ. მას შემდეგ გუნდში ბევრი რამ შეიცვალა, "გაგრის" იმიჯი მნიშვნელოვნად შეიცვალა, სტრატეგია გამოიკვეთა. გაუმჯობესდა სათამაშო ხარისხი, 19-წლამდელთა ნაკრებში ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვიეს, "ლე მანმა" ფანცხავა წაიყვანა, საერთაშორისო კავშირები გაუმჯობესდა, შარშან "ლე მანის" ვიცე-პრეზიდენტი გვესტუმრა, 3 აპრილს კი - "დერდენის" ვიცე-პრეზიდენტი და სკაუტი ჩამოდიან, "გაგრას" თამაშებს ნახავენ და თანამშრომლობაც დაიწყება.*

*იკითხავთ, თუკი ასე კარგად იყო ყველაფერი, მაშინ გეგუჩაძე რატომ წავიდა? კაცი თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო, ბოლო წლებში გუნდმა ყველაზე დიდ წარმატებას მისი ხელმძღვანელობით მიაღწია.*

*რაზეა ლაპარაკი, გიას წასვლა ჩემზე მეტად არავის სწყინს, მაგრამ ჩემი ინტერესი გვერდზე უნდა გადავდო და ბატონი გიასი გავითვალისწინო. გაცილებით დიდი ასპარეზისკენ მიუწევს გული და შეუძლია კიდეც თავის გამოჩენა. ჩვენ კი მის ამბიციურ მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ"...*

გია გეგუჩაძე: *ცხოვრება ასეთია. მადლობას ვუხდი ბატონ ბესოს და მასთან მთელი ცხოვრება ვიმეგობრებ. ისეთ დროს მიმიწვია, როდესაც უმუშევარი ვიყავი. არ დავმალავ, ინიციატივა ჩემგანაც მოდიოდა, რადგან "გაგრის" მშენებლობაში ჩემი წვლილის შეტანაც მსურდა. იმედია, გუნდის წინსვლა ჩემი წასვლის შემდეგაც გაგრძელდება, რადგან "გაგრის" ფილოსოფია, კურსი არსებობს და ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გუნდი ჩამოყალიბდა. ჩემი არყოფნით ბევრი არაფერი დაშავდება და ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიქნები."*

**- რაიმე კონკრეტული წინადადება ხომ არ მიგიღიათ?**

- უბრალოდ, მე ჩემი ამბიცია გამაჩნია, გუნდში კი სპორტული დირექტორი ვიყავი. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ გეგუჩაძე დღევანდელით კმაყოფილდება.

ბესო ჩიხრაძე: - როდესაც ჩვენი ჩანაფიქრი სრულად განხორციელდება, მაშინ მნიშვნელოვან სიახლეს შეიტყობთ. პირდაპირ გეტყვით, რომ გიას წინადადება აქვს, მაგრამ დღეს ყველაფერზე საუბარი არ მსურს. მცირე ხნის წინათ სტაჟირებაზე დონეცკის "შახტიორში" იყო, სადაც ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტების ჯგუფი მუშაობს. ერთ-ერთმა აგენტმა მითხრა, ამ სპეციალისტებიდან არც ერთი გიას ფეხის ფრჩხილად არ ღირს და უნდა წაგართვათო.

აზერბაიჯანში, ბელორუსიში, ლატვიაში იწვევდნენ, მაგრამ გაცილებით უკეთეს წინადადებას ელის და უარი თქვა.

**- ანუ ევროპულ ქვეყანაში იწვევენ?**

- შემიძლია გითხრათ, რომ ასეა, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ გია "გაგრაში" კიდევ დაბრუნდება.

**- ბატონო გია, შემთხვევით, ბოსკამპი თავისთან ხომ არ გიწვევთ?**

- ჩვენ ერთმანეთს ყოველდღე ვეხმიანებით.

**- შემოთავაზება გქონდათ?**

- ჯერ არაფერი.

**- ბატონო ბესო, კლუბის განვითარების გეგმებზე რას გვეტყვით?**

- ჩვენი მიზანი უმაღლესი ლიგაში გადასვლაა. საერთოდ კი, სტრუქტურის ოპტიმიზაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება გვჭირდება, რასაც ორი წელიწადი მაინც სჭირდება. მოულოდნელი წაგებებიც ამის არარსებობის ბრალია.

მე ამბიციური ადამიანი ვარ. შემთხვევით კი არაფერი ხდება - საქართველოში გვესტუმრა საფრანგეთის მეექვსე ადგილზე გასული კლუბ "ლე მანის" ვიცე-პრეზიდენტი. ჩემთვის გაუგებარია, საიდან შეიტყო მოსკოვის "სპარტაკმა" ჩვენი კლუბის არსებობა. ფაქტია, რომ კლუბის მენეჯერი დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ "გაგრის" ფეხბურთელებითაა დაინტერესებული და მალე თბილისში გვესტუმრება. მიხარია, უკვე ბევრმა იცის, რომ ჩვენთან კარგი ფეხბურთელები იზრდებიან... სხვათა შორის, "სპარტაკში" საქართველოს ძალიან საინტერესო ფეხბურთელი, ჯანო ანანიძე ეზრდება. ქობულეთელი ბავშვია და მოსკოვში რამდენიმე წლის წინათ გადავიდა.

თურქეთში ჩვენს თამაშებზე მყოფმა მენეჯერმა მითხრა, ძალიან ცნობილი კლუბი სამი მოთამაშით დაინტერესდა, ერთი "ფენერბაჰჩეში" თამაშობს, ერთიც თქვენთანო. ფეხბურთელების წარმოჩენა და გაზრდა ბატონი გიას დამსახურებაა და მას კლუბიდან მადლობით და დიდი გულისტკივილით ვაცილებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ძმა ძმისთვისაო

## ტოპმიოლერს არ სჭირდება ქეცბაია, სამაგიეროდ სჭირდება ძმა







ქეცბაიასა და კლაუსს შორის ჰაინცი ჩადგა

ორი კვირის წინათ, ქართული მედიით ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ფამაგუსტის "ანორთოსისის" მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას** ნაკრებში მუშაობა შესთავაზა.

გუშინ კი გაზეთ "ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუში **კლაუს ტოპმიოლერმა** განაცხადა, მე ჩემს სამწვრთნელო შტაბთან ერთად ვმუშაობო.

ეს იყო ძალიან მოულოდნელი და ფედერაციის ხელმძღვანელობის მოსაზრების საპირისპირო განცხადება. მანამდე **რევაზ არველაძემ** კონკრეტულად ახსენა თემურ ქეცბაიას მიწვევის შესაძლებლობა. ეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** პრესკონფერენციაზე ოფიციალურადაც დაადასტურა.

რა შეიცვალა მას შემდეგ, ძნელი ასახსნელია. თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება. დროა, წყალგამყოფი არსებობდეს - კლაუს ტოპმიოლერი თავისი განცხადებებით, ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით ფეხბურთის ფედერაციას უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა და დღესაც ასე აგრძელებს.

გაიხსენეთ მისი განცხადება საქართველოს ჩემპიონატზე, აქ მოთამაშე ფეხბურთელებზე, რის შემდეგაც ნოდარ ახალკაცსა და ვიცე-პრეზიდენტებს მოუხდათ თავის მართლება.

შემდეგ იყო მეორე ნაკრების თემა, რომელიც პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა** კატეგორიულად დააყენა. გერმანელმა სპეციალისტმა უმალ განაცხადა, რა პრობლემაა, მეორე ნაკრებს ჩამოვაყალიბებო.

ეს ყოველივე 2006 წლის ბოლოს ხდებოდა და როგორც ჩინეთის კედელი თქვენს უმრავლესობას არ უნახავს, ისე საქართველოს არ უხილავს მეორე ნაკრები.

არადა, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ტოპმიოლერს სწორედ ამ მიზნით შეხვდა, მისგან მეორე ნაკრების პირობაც მიიღო და საბოლოოდ, რა მივიღეთ? არანაირი მეორე ნაკრები. 2007 წლის 7 თებერვალს საქართველოს მეორე ნაკრების პრეზენტაციას ველოდით და ახალგაზრდული გუნდი ვიხილეთ.

ახლაც ასე მოხდა - ფედერაციამ მწვრთნელის ასისტენტად თემურ ქეცბაიას კანდიდატურა, ლამის, დამტკიცებულად გამოაცხადა, ტოპმიოლერმა კი ისევ საპირისპირო მოძრაობა დაიწყო.

საინტერესოა, რა ხდება? ამასთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო დეტალი - მცირე ხნის წინათ გაზეთმა "ლელომ" კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუს აღება გადაწყვიტა და ფედერაციის მაღალჩინოსანმა ჩუმად მთხოვა - იქნებ ჰკითხოთ, საქართველოში ხშირად ჩამოსვლას ახლა მაინც თუ აპირებსო.

ეს ის ადამიანია, რომელიც ფედერაციაში ტოპმიოლერს ყველაზე მეტად იცავს და სწორედ ამან ქეცბაიას გადაუჭრელი საკითხი ბევრისთვის პარადოქსული კუთხით დაგვანახვა: გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთის ფედერაციას ერთი სურს, ტოპმიოლერი კი თავისას ჯიუტად ერეკება.

აბა თავად განსაჯეთ - ფედერაციას სურს მეორე ნაკრები, ტოპმიოლერი კი მეორე ციკლს ისე ამთავრებს, ეს დაპირება აღარც ახსენდება.

ფედერაციას ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას მიწვევა სურს, ტოპმიოლერი კი წინააღმდეგია.

ფეხბურთის ფედერაციას აღარ სურს **ჰაინც ტოპმიოლერის** მსგავსი დილეტანტი და 19-წლამდელთა ნაკრებში მის სამსახურზე უარს ამბობს.

სამაგიეროდ, კლაუსმა საკუთარი ძმა ეროვნულ ნაკრების სამწვრთნელო შტაბში დაამტკიცებინა. დიახ, საზოგადოებისთვის უცნობია, რომ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში კონსულტანტად 19-წლამდელებში უხეირო მუშაობისთვის დაწუნებული ჰაინცი დამტკიცდა. ეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ორმა წევრმა დაგვიდასტურა.

როდესაც "ლელომ" თემურ ქეცბაიას არმიწვევის მიზეზები ჰკითხა, ტოპმა ასე უპასუხა: "როცა სადმე სამუშაოდ მივდივარ, ყველგან ჩემი შტაბი მიმყავს. ამ შტაბში ის პიროვნებები შედიან, რომლებსაც კარგად ვიცნობ და რომლებთანაც დიდი ხნის განმავლობაში მიმუშავია. ესეც კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი გახლავთ."

ბუნებრივია - ყველა მწვრთნელს საკუთარი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს და ასევეა ტოპმიოლერიც. მას უახლოეს თანამოაზრეებს ყველაზე მაგარი ქართველიც ვერ შეუცვლის.

სხვა საკითხია და კითხვებს მხოლოდ ის ბადებს, რომ "ერთ-ერთ" პუნქტში კლაუსმა საკუთარი ძმის დასაქმება რატომ მოითხოვა. ხომ ამბობს, სამწვრთნელო შტაბში მხოლოდ ისინი ამყავს, რომლებთანაც დიდი ხანი მიმუშავიაო.

**რალფ მინგე** გასაგებია, მასთან ჯერ კიდევ "ლევერკუზენში" უმუშავია, მაგრამ საკუთარ ძმასთან თანამშრომლობა პროფესიულ დონეზე საქართველოში რომ დაიწყო, ეს ხომ სიახლე არაა? ჰაინცი საქართველოში დასაქმდა და მანამდე სამწვრთნელო გამოცდილებითაც ვერ დაიკვეხნიდა.

ასეც რომ არ იყოს - ფედერაციაში კარგად დაინახეს ძმა-ტოპმიოლერის რეალური კვალიფიკაცია და 19-წლამდელთა ნაკრებში ცუდი მუშაობისთვის რომ აღარ დანიშნეს, სათქმელი ამით გამოხატეს. ის, რომ ნოდარ ახალკაცმა "პრაიმტაიმში" ჰაინცი დაიცვა, მხოლოდ ეთიკის საქმეა. ის ყველაფრის თქმის უფლებას საკუთარ თავს არ მისცემდა. რეალურად რასაც ფიქრობდა, 19-წლამდელებში ქართველი სპეციალისტის დასაქმებით გამოხატა.

თემურ ქეცბაიაზე ბატონმა ნოდარმა პრესკონფერენციაზე თქვა კიდეც, ქეცბაიას ჩამოყვანა გვსურსო.

ტოპმა კი კონტრაქტში საკუთარი პირობების ჩაწერით ყველაფერი უთხრა - ჩემი ძმა ყველას მირჩევნიაო.

ეტყობა, ფეხბურთის ფედერაციას ამიტომაც არ სურდა ჰაინც ტოპმიოლერის ეროვნულის სამწვრთნელო შტაბში შეყვანის აფიშირება. მათ მშვენივრად იციან - სად ქეცბაია და სად ჰაინცი?

**მერაბ მამულაშვილი**

# მე თქვენ გასწავლით ლიდერობას

## ჩემთვის ფანტასტიკა ბეგლარიშვილია



პეტარ სეგრტი

გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლატვიას ამხანაგურად 4:0 რომ მოუგო, ეს ჩვენი 21-წლამდელების ზედიზედ მესამე გამარჯვება იყო.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი "ლელოს" არცთუ იშვიათი რესპონდენტია, მაგრამ ზედიზედ სამი გამარჯვება ალბათ გამოდგება იმის მიზეზად, რომ სეგრტთან ინტერვიუ ერთხელაც შემოგთავაზოთ.

**- ისე ჩანს, რომ თქვენ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევთ ფეხბურთელების ხასიათს, ფსიქოლოგიურ ასპექტებს, იმას, შეუძლია თუ არა ფეხბურთელს მოედანზე ცეცხლის დანთება - ეს თქვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია?**

- ლატვიასთან კარგი თამაში ვაჩვენეთ. ბედნიერი ვარ, რომ ხალხი მოვიდა ჩვენი თამაშის სანახავად და კმაყოფილი დარჩა. ჩვენმა ფეხბურთელებმა მართლაც კარგი ხასიათი გამოავლინეს. სხვადასხვა მიზეზის გამო თექვსმეტი ფეხბურთელი გვაკლდა და მაინც წარმატებით ვითამაშეთ. ახალ ქვეყანაში, ახალ გარემოში ჩამოვედი, ქართული არ ვიცი, აქაურ ხალხს კარგად არ ვიცნობ - დრო მჭირდება და ალბათ, არც ფეხბურთელებისთვისაა ადვილი ჩემთან მუშაობა.

**- უკვე კარგად იცნობთ ჩვენი ახალგაზრდების შესაძლებლობებს. როგორ ფიქრობთ, რა მანძილი აშორებს ჩვენს ჯეელებს ესპანელ, გერმანელ, იტალიელ თუ ფრანგ თანატოლებთან?**

- გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ ამ დროისთვის ქართველი ახალგაზრდებისთვის ძნელია მაღალ დონეზე თამაში. თუმცა ესპანელი ახალგაზრდების თავკაცმა ინაკი საესმა მითხრა, რუსებს რომ მოუგეთ, ეს უკვე ბევრს ნიშნავსო. მაღალ დონემდე მისაღწევად ჯერ ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ფეხბურთში ბევრი რამ სწრაფად იცვლება. ახლა სამი თამაში კი მოვიგეთ ზედიზედ, მაგრამ მანამდე ყაზახეთთან წავაგეთ - ოთხი შეცდომა დავუშვით და ამდენივე გოლი გავუშვით.

**- რა მიგაჩნიათ ჩვენი ახალგაზრდების მთავარ პრობლემად?**

- კარგი მოედნები, რომლის გარეშეც შეუძლებელია სწრაფი თამაშის ათვისება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება საფეხბურთო განათლებას, როცა ბურთი გაქვს, უნდა იფიქრო შეტევაზე, როცა არ გაქვს - დაცვაზე. ამ ორ სიტუაციას შორის კი არაფერია, ანუ შუალედი არ არსებობს. ამ ზოგადი პრინციპით ხელმძღვანელობენ ყველგან. ახლა ახალგაზრდული ნაკრებისთვის უკვე ორმოცი ფეხბურთელი მყავს შერჩეული, შანსს ყველას მივცემ, მაგრამ ვინც ხასიათს ვერ გამოავლენს, მის ადგილს სხვა დაიკავებს.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში თუ გეგულებათ ისეთი ფეხბურთელი ან ფეხბურთელები, ეროვნულ ნაკრებში ფეხის მოკიდებასთან ძალიან ახლოს რომ არიან?**

- კორექტული იქნება, თუ ამ კითხვაზე პასუხს ჩემს მაგივრად კლაუს ტოპმიოლერი გაგცემთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში ასეთი ხუთი ფეხბურთელი მეგულება.

**- საკმაოდ საინტერესო შევსება მოგდით 19-წლამდელთა ნაკრებიდან, მაგალითად, დავით თარგამაძე. რატომ არ იყო ის ლატვიასთან მატჩის შეკრებაზე?**

- ის გამოვიძახეთ და მოგვიანებით, მხოლოდ მატჩის შემდეგ გვაცნობეს, რომ "ფრაიბურგიდან" ტრავმის გამო ვერ მოახერხა ჩამოსვლა.

**- ლატვიასთან არ იყო ასევე 19-წლამდელთა ნაკრებში თავგამოჩენილი ზაქარია ბეგლარიშვილი...**

- ის მოვიდა შეკრებაზე, მაგრამ ნება დავრთე, წასულიყო - ამსტერდამის "აიაქსში" მივიდა გასინჯვაზე და ძალიან მინდა, რომ ეს შანსი გამოიყენოს. შარშან ოქტომბერში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვთქვი, ლევან ყენიაზე არანაკლები ნიჭიერია ბეგლარიშვილი-მეთქი და ბევრს გაეცინა. ჩემთვის ბეგლარიშვილი ფანტასტიკური ფეხბურთელია.

**- რისკი, ავანტიურა - სეგრტის გაწვრთნილ ახალგაზრდულ ნაკრებში ეს არ ჩანს. მაინც, რას დაარქმევდით თქვენს სათამაშო სტილს?**

- არ მიმაჩნია საჭიროდ დაცვაში თამაშგარის ზღვარზე თამაში. მოედანზე არის ზონები, სადაც გამართლებულია დრიბლინგი და სხვა თვალისმომჭრელი ელემენტები. ვცდილობ, ჩემს ფეხბურთელებს ლიდერობა ვასწავლო, რასაც მამები ასწავლიან საკუთარ შვილებს.

**დავით თავართქილაძე**

# თარგამაძეს კოჭი თანაგუნდელმა გაუტეხა

"ფრაიბურგის" შემტევი შუახაზელი დავით თარგამაძე 25 მარტს ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა. დათოს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ და მან გვითხრა, რომ:

- ვარჯიშზე, ორმხრივი თამაშის დროს დავშავდი. სურათი გადამიღეს და აღმოჩნდა, რომ კოჭი მაქვს გაბზარული, შესაძლოა, მოტეხილობაც იყოს. მითხრეს, 2-3 კვირა მოგიწევს დასვენებაო. სურათს ხელმეორედ მალე გადავიღებ და მერე უფრო ზუსტად მეტყვიან, როდის შევძლებ მოედანზე გასვლას. ახლა კოჭი ისე მაწუხებს, ფეხზე დგომაც კი მიჭირს.

**დავით თავართქილაძე**

# გოგი ფიფია ზესტაფონს დაუბრუნდა

მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელმა **გოგი ფიფიამ** ერთი კვირის წინ "ლელოსთან" განაცხადა, რომ "ზესტაფონიდან" წავიდა.

გოგის კლუბის შეცვლა სურდა. დნეპროპეტროვსკის "დნეპრში" გასინჯეს, მაგრამ როგორც თავად თქვა, კლუბმა უკან გამოიწვია.

ის "ზესტაფონიდან" წასვლას ფიქრობდა, თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლა აწყობდა, მაგრამ ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდაო. რა თქმა უნდა, უგუნდოდ დარჩენაზე არ ოცნებობდა და როდესაც ვითარება აწონ-დაწონა, "ზესტაფონში" დაბრუნება ამჯობინა.

ეს გუშინ გოგი ფიფიამ ხანმოკლე კომენტარში დაგვიდასტურა: *"დავბრუნდი, მაგრამ პირველ გუნდთან არ ვვარჯიშობ, დუბლებთან ვარ. რა იქნება მომავალში, ამის თქმა მიჭირს."*

რა ჩვენი გასარჩევია, კერძო გუნდის და მისი წევრის ურთიერთობები, მაგრამ იმედია, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი უთამაშებელი არ დარჩება. მაყურებელი სტადიონზე ჯერ კიდევ შემორჩენილი ორიოდე მოთამაშის სანახავად მიდის და ამ "ორიოდედან" ერთ-ერთი ფიფიაცაა.

**მერაბ მამულაშვილი**

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. მეტოქეები

# ესპანეთი შეუჩერებელია

**ესპანეთი-ყაზახეთი 5:0**

1:0 **ხურადო** (10), 2:0 **დიეგო კაპელი** (28), 3:0 **კრკიჩი** (32), 4:0 **მატა** (39), 5:0 **კალეხონი** (60)

ესპანეთი: **რობერტო, რაულ გარსია (61. ხავი გარსია), სისინიო, ხურადო, მიგელ ტორესი, მონრეალი, პიკე, ტორეხონი, ბოიანი (46. კალეხონი), დიეგო კაპელი, მატა (46. კლემენტე)**

ყაზახეთი: **შაბანოვი, კენბაევი (55. საბალაკოვი), კისლიცინი, კუკიევი, ლოგვინენკო, ნურგალიევი, შახმეტოვი (64. ნოსკოვი), ვოროტნიკოვი, ბოროვსკი (68. ხასენოვი), ჟუმაბაიევი, აზოვსკი**

გაფრთხილება: **ჟუმაბაიევი** (33), **ვოროტნიკოვი** (78), **კისლიცინი** (90)

მსაჯი: **სირილ ციმერმანი** (შვეიცარია)

ჩვენს შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანეთმა ანტეკერაში ყაზახეთი იოლად გაანადგურა და პირველობა განიმტკიცა. **ინაკი საესის** გუნდს შესაშური შედეგი აქვს. ესპანელებს თამაშში საშუალოდ ერთი გოლი გააქვთ და საკუთარ კარში ჯერ ბურთი არ მიუღიათ. თუმცა გადამწყვეტი შეხვედრები საესსა და მის შეგირდებს წინ აქვთ – უშუალო კონკურენტ რუსეთთან ესპანელებს ჯერ არ უთამაშიათ.

ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთი ბინადარი პოლონეთი ინგლისს ეწვია და ადგილობრივ ახალგაზრდულ ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრა. პოლონელებმა მედგრად იბრძოლეს და ძლიერ მეტოქესთან ნულოვან ფრეს მიაღწიეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-0 | 15 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| 3. პოლონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-8 | 6 |
| 4. საქართველო | 6 | 2 | 0 | 4 | 6-13 | 6 |
| 5. ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-16 | 3 |

**მომდევნო მატჩები**

**20 აგვისტო**

ყაზახეთი-პოლონეთი

რუსეთი-ესპანეთი

# ილია ირლანდიაში

თბილისის „დინამოს" ფორვარდმა **ილია სპასოევიჩმა** ირლანდიაში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მე-3 საკვალიფიკაციო ჯგუფის მატჩში ითამაშა. ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრები, რომლის წევრიც სპასოევიჩია, ირლანდიას 1:1 დაუზავდა. მატჩი ირლანდიურ ქალაქ გალვეიში გაიმართა. სპასოევიჩი სათადარიგო იყო, ის მწვრთნელმა მოედანზე მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე შეიყვანა ფორვარდ **სლავენ სტეპანოვიჩის** ნაცვლად. ამ ცვლილებას ალბათ, უფრო დროის გაყვანის მიზანი ჰქონდა. მესამე ჯგუფში ჩერნოგორია 7 თამაშიდან ამდენივე ქულით მესამე ადგილზეა, ხოლო ირლანდიის ნაკრებს ოთხი ქულა აქვს და მეოთხეა. ამ ჯგუფში 19 ქულით ერთპიროვნულად ინგლისის ნაკრები ლიდერობს, რომელიც 9 ქულით უსწრებს პორტუგალიას. ილია სპასოევიჩმა შესარჩევ ციკლში მეორედ ითამაშა,



ილია სპასოევიჩი

პირველად ირლანდიასთან შინ 1:0 დასრულებულ მატჩში ის სასტარტოში იყო, „დინამოელი" 82-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გააფრთხილეს. ჩერნოგორიის ნაკრებს ჯგუფში ერთი მატჩი დარჩა გასამართი – 9 სექტემბერს პოდგორიცაში აუტსაიდერ ბულგარეთს უმასპინძლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### პირველი ლიგა. XIX ტური

**აღმოსავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| მეშაქრე-წ. დინამო/მერანი 2 | 0:0 |
| ამერი 2-კახეთი | 2:0 |
| ოლიმპი 2-ჩიხურა | 1:1 |
| ოლიმპიკი-დინამო 2 | 0:1 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია 2 | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 19 | 11 | 5 | 3 | 29-14 | 38 |
| 2. გაგრა | 19 | 10 | 5 | 4 | 38-30 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 5 | 5 | 28-15 | 32 |
| 4. მეშაქრე | 18 | 8 | 6 | 4 | 25-17 | 30 |
| 5. ჩიხურა | 19 | 8 | 6 | 5 | 29-25 | 30 |
| 6. ოლიმპი 2 | 19 | 7 | 6 | 6 | 26-20 | 27 |
| 7. კახეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 29-30 | 25 |
| 8. ამერი 2 | 18 | 7 | 2 | 9 | 30-31 | 23 |
| 9. ოლიმპიკი | 19 | 3 | 4 | 12 | 23-39 | 13 |
| 10. წ. დინ./მერ. 2 | 19 | 0 | 5 | 14 | 17-53 | 5 |

**დასავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| მეშახტე-კოლხეთი (ხობი) | 1:0 |
| ტორპედო-მაღაროელი | 1:0 |
| ფაზისი-ზესტაფონი 2 | 0:3 (ტექ.) |
| მერანი (მარტვ.)-უნივერს. (ქუთ.) | 2:0 |
| სამტრედია-კოლხეთი (ფოთი) | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 19 | 16 | 2 | 1 | 41-13 | 50 |
| 2. მერანი მარტვ. | 19 | 10 | 4 | 5 | 26-16 | 34 |
| 3. მეშახტე | 19 | 11 | 0 | 8 | 31-29 | 33 |
| 4. ზესტაფონი 2 | 19 | 10 | 2 | 7 | 31-18 | 32 |
| 5. ტორპედო | 19 | 8 | 4 | 7 | 28-25 | 28 |
| 6. კოლხეთი ფ. | 19 | 7 | 6 | 6 | 25-22 | 27 |
| 7. კოლხეთი ხ. | 19 | 6 | 5 | 8 | 23-24 | 23 |
| 8. უნივერს. ქ. | 19 | 6 | 3 | 10 | 16-20 | 21 |
| 9. სამტრედია | 19 | 3 | 4 | 12 | 21-43 | 13 |
| 10. ფაზისი* | 19 | 2 | 2 | 15 | 17-49 | 8 |

*ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

ბიბლიოთეკა

# შოთა არველაძე ფიგუს გუნდში

## ინტერის ვარსკვლავმა არველაძე გაიხსენა და ბუქარესტში დაპატიჟა



შოთა არველაძე

**შოთა არველაძე** დიდ ფეხბურთში ბრუნდება. ჩვენმა თანამემამულემ ბოლო 10 თვის განმავლობაში მრავალი განსაცდელი გამოიარა. როგორი საქმეა, შოთა პრიმერა დივიზიონში უდიდესი ენთუზიაზმით წავიდა, იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ ოსტატობას მსოფლიოს უდიდეს გრანდებთან ჩატარებულ შეხვედრებში გამოავლენდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და ესპანეთის ჩემპიონატის 27 ტური გამოტოვა. შოთამ "ლევანტეს" მაისურით სადებიუტო შეხვედრა გასულ უქმეებზე "ვილიარეალის" წინააღმდეგ ჩაატარა. მართალია, ვეტერანმა ქართველმა მოედანზე მხოლოდ 5 წუთი დაჰყო, მისი გუნდი კი დამარცხდა, თუმცა ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ არველაძე როგორც იქნა გამოჯანმრთელდა და საყვარელ საქმეს დაუბრუნდა. ნიჭიერ ფეხბურთელებს რომ არასოდეს ივიწყებენ, ამაში გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით...

"ლევანტეს" ოფიციალურ ვებ გვერდზე ძალიან სასიხარულო ინფორმაცია გამოქვეყნდა. შოთა არველაძე **ლუიშ ფიგუშ ჯიკა პოპესკუს** გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ მიიწვია. პორტუგალიელი ვარსკვლავის მეგობრები 25 მაისს ბუქარესტში სწორედ პოპესკუს მეგობართა კოლექტივს დაუპირისპირდებიან. მატჩი რა თქმა უნდა, საქველმოქმედო მიზნებს მოემსახურება. ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ბავშვებს მოხმარდებათ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში ქართველი კაციც მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ფიგუმ არველაძე დააფასა. გემახსოვრებათ, შოთამ მანამდე **ზინედინ ზიდანისა** და ლუიშის მეგობრების მატჩში ითამაშა. ალსანიშნავია, რომ ზიზუს გუნდში **კახა კალაძე** ვიხილეთ. არველაძე კი მაშინაც პორტუგალიელ სუპერვარსკვლავს ამოუდგა მხარში.

ისლა დაგვრჩენია შოთას გამოჯანმრთელება და ფეხბურთში დაბრუნება მივულოცოთ. რა თქმა უნდა, 25 მაისის ამხანაგურ შეხვედრაზე დაპატიჟება ძალიან სასიხარულოა და არველაძეს ამ აღიარებასაც ვულოცავთ. ისიც გვახარებს, რომ ჩვენებურის დაბრუნებას "ლევანტეს" ხელმძღვანელობა ენთუზიაზმით გამოეხმაურა. ვალენსიელებს რა თქმა უნდა, შოთას ძველ წარმატებებზე ბევრი რამ სმენიათ, ამიტომ იმედი აქვთ, რომ მას 10-თვიანი ტრავმაც ვერ დაასვამს დაღს და სეზონის დასრულებამდე დარჩენილ ტურებში გუნდს დაეხმარება. მართალია, ვალენსიური კლუბის მესვეურები შესანიშნავად აცნობიერებენ, რომ პრიმერა დივიზიონში დარჩენის შანსები მინიმალურია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი **ჯოვანი დე ბიაზი** მის შეგირდებთან ერთად ბოლომდე ბრძოლას აპირებს. იტალიელმა მწვრთნელმა "20 მინუტოს დე ვალენსიას" კორესპონდენტს განუცხადა, არველაძის გამოჯანმრთელება ოპტიმიზმს მილრმავებს. ის უაღრესად გამოცდილი ფორვარდია და ქართველის ცოდნა შეიძლება ძალიან გამოგვადგესო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ლატვიასთან მატჩის შემდეგ. ინტერვიუ ირაკლი კლიმიაშვილთან

# ლატვიასთან რევანში გვჭირდებოდა

**ლატვიის 4:0** დამარცხებაში თითოეულმა ფეხბურთელმა შეიტანა წვლილი, მაგრამ გამორჩეულთა შორის ირაკლი კლიმიაშვილის დასახელება თამამად შეიძლება. მეორე გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. მისთვის ეს 21-წლამდელთა ნაკრებში რიგით მეოთხე თამაში და პირველი გოლია.

ორივე გლანგზე მოთამაშე, ტექნიკური, კარგი პასის, ძლიერი და ზუსტი დარტყმის პატრონი. ამ და სხვა თვისებები გამოირჩევა ირაკლი კლიმიაშვილი.

კლიმიაშვილს გუშინ შევხვდით და სანაკრებოს გარდა, საკლუბო თემებეც გავესაუბრეთ.

**- ირაკლი, დღეს როგორ იხსენებ და აანალიზებ ლატვიასთან მოგებულ მატჩს?**

- კარგი შეგრძნებაა მოგებული თამაშის გახსენება. ფეხბურთელებმა ზუსტად შევასრულეთ მწვრთნელის დავალება. თავი არ დავზოგეთ და შედეგიც სახეზეა. მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ და ლოგიკურადაც მოვიგეთ.

**- მატჩის წინ რა დარიგება მოგცათ მწვრთნელმა?**

- გვითხრეს, რომ კომპაქტურად გვეთამაშა. მე და მერებაშვილს ფლანგებიდან რაც შეიძლება მეტი უნდა გვემუშავა და შეგვევიწროებინა ლატვიელები. ამავე დროს, მე და მერებაშვილს, შიგადაშიგ, ფლანგები უნდა გაგვეცვალა.

**- შესვენებაზე რამდენად შეიცვალა მწვრთნელების დავალებები?**

- პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს ვიგებდით. სეგრტმა გვითხრა, ეს ყველაზე საშიში ანგარიშია და არანაიად დაცვაში არ ჩავჯდეთ, ისევ შეტევაზე გავაკეთოთ აქცენტი. მეტოქე რომ ბოლომდე გავტეხოთ, მინიმუმ ერთი გოლი მაინც უნდა გავიტანოთო.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში ეს შენი მეოთხე მატჩი იყო. ასეა?**

- დიახ, დებიუტი წარუმატებელი მქონდა, ყაზახეთთან სტუმრად 1:4 წავაგეთ. თუმცა აშკარად ჩანს, რომ იმ მატჩის შემდეგ ნაკრებში ბევრი რამ შეიცვალა. რუსეთთან 2:0-ზე მოგებულ მატჩი ვითამაშე. გასული წლის მიწურულს კი ლუქსემბურგი სტუმრად 5:0 დავამარცხეთ. ლატვიასთან კი მეოთხე შეხვედრა ჩავატარე 21-წლამდელთა ნაკრებში. ძალიან გამეხარდა ლატვიას რომ მოვუგეთ და ამ სიხარულსაც თავისი მიზეზი ჰქონდა.

**- რას გულისხმობ?**

- შარშან, შემოდგომაზე, ლატვიამ ჩვენი 19-წლამდელები თბილისში შესარჩევი ციკლის მატჩში დაამარცხა. 6 თებერვალს ლატვიელებმა ჩვენი ეროვნული ასევე საშინაო თამაშში დაამარცხეს. ჩვენ, 21-წლამდელებს შანსი მოგვეცა, რომ ქომაგები გაგვეხარებინა. ეს მოგება ლატვიასთან სრულფასოვანი თუ არა ნაწილობრივი რევანში მაინც იყო.

**- ამ 4 მატჩიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდა?**

- რუსეთთან თამაში ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. ემოციურად დატვირთული, დაძაბული მატჩი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ის თამაში მოვიგეთ. რუსეთთან მოგებას მაინც სხვა ხიბლი აქვს და ქართველი ქომაგისთვის განსაკუთრებულად მნივნელოვანია.

**- წარმოიდგინე, რომ რიგითი ქომაგი ხარ. როგორ დაახასიათებდი ირაკლი კლიმიაშვილს?**

- ... (იცინის) წარმოვიდგინე, მაგრამ... საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს. ეს ფეხბურთის სპეციალისტების, ჟურნალისტებისა და მწვრთნელების საქმეა.

ერთი რამ ვიცი, ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო.

**- პირდაპირ გეტყვი, ასე ბევრ ტალანტს უთქვამს, მაგრამ ზოგს მერე ზრდა შეუწყვეტია...**

- (იცინის)... მართლა ისე ვფიქრობ, რაც გითხარით. თავში არ ამივარდება. "ვიტ ჯორჯიის" მთავარი მწვრთნელი რამაზ მუმლაძეც ამას მეუბნება. საკუთარ თავზე ბევრი იმუშავე, რეჟიმი დაიცავი და მწვრთნელის მითითებებს ყური უგდეო.

**- რეჟიმის დაცვა ხომ არ გიჭირს?**

- არა, არ მიჭირს.

**- კარში შორიდან ძლიერად დარტყმა შენი ერთ-ერთი კოზირია. ამაზე დამატებით ვარჯიშობ?**

- დიახ, დამატებით ვვარჯიშობ. იმასაც გეტყვით, რომ ბურთზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. "ადიდასის" ბურთი ყველაზე კარგია ასეთი დარტყმებისთვის და ყველა მეკარეს უჭირს აღება.

**- კლუბში რა ბურთებით ვარჯიშობ?**

- გერმანული "ულშპორტის" ბურთებით.

**- "დიადორას" სჯობს"?**

- ნაკრებში "დიადორის" რა ბურთებიც გვაქვს, იმას მართლა სჯობს. საერთოდ კი ბურთსა და მოედნის ხარისხზე ბევრ რამაა დამოკიდებული. ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, რომ 8 სტადიონი განახლდება სახელმწიფოს ხელშეწყობით.

**- ორივე ფლანგზე თამაშობ. რომელზე გირჩევნია?**

- ფეხბურთის თამაში "ავაზიდან" დავიწყე, ჩიტაური იყო ჩემი მწვრთნელი. ჩემთან ერთად ვარჯიშობდა განუგრავაც. იქიდან მოყოლებული ფლანგზე ვთამაშობ. წინაც ვთამაშობდი, მაგრამ მხოლოდ ფლანგზე. მემარჯვენე ვარ, მაგრამ მარცხნივ მირჩევნია.

**- რამდენადაც ვიცი, შენი ძმაც ფეხბურთელი იყო...**

- დიახ, უფროსი ძმა, ნიკაც ფეხბურთელი იყო. 5-6 წლის წინათ "ლოკომოტივსა" და "დილაში" თამაშობდა, ისიც ნახევარმცველი იყო, მაგრამ ქრონიკული ტრავმების გამო, ნაადრევად დაასრულა ფეხბურთელის კარიერა.

**- ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. სეგრტი ახლავე ამზადებს გუნდს რუსეთთან შემოდგომაზე დანიშნული გასვლითი მატჩისთვის. მან პირდაპირ თქვა, ქომაგები ახლავე მთხოვენ რუსეთს სტუმრადაც მოვუგოთო...**

- დიახ, სწორედ ამისთვის ვემზადებით. კარგი იქნება, თუ ტრავმები ხელს არ შეგვიშლის და ოპტიმალური შემადგენლობა გვეყოლება. თუ მოვინდომებთ, სწორად ვითამაშებთ, მაშინ შედეგიც იქნება. ჯერ კიდევ გვაქვს ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი. რუსეთს სტუმრად და პოლონეთს შინ უნდა მოვუგოთ და რუსებმა პოლონელებთან ორივე თამაში უნდა წააგონ. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფიდან ჩვენ გავდივართ. ჯერ რუსეთთან გვაქვს მოსაგები დანარჩენი კი მერე გამოჩნდება.

**- გალეგიონერებაზე თუ გიფიქრია?**

- ვფიქრობ, ჯერ ადრეა უცხოეთში თამაშზე ფიქრი, აქ უნდა მოვიკიდო ფეხი. სადმე წავიდე და იქ სკამზე ვიჯდე? ასე არ მინდა. "ვიტ ჯორჯიასთან" 3-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ჩემს გუნდში ყველა პირობა მაქვს კლასის ასამაღლებლად.

**- ფეხბურთში ვინაა შენი კერპი?**

- დელ პიერო. "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ქომაგი ვარ. ქართველებიდან კი ლევან კობიაშვილს, შოთა არველაძეს და თემურ ქეცბაიას გამოვყოფდი. ქეცბაიას უყვარდა შორიდან ძლიერი და მოულოდნელი დარტყმები.

**- პეტარ სეგრტს როგორ დაახასიათებდი?**

- ძალიან ემოციურია. ფეხბურთი კარგად ესმის, იოლად გვიხსნის დავალებას. მისი ხორვატული ხასიათი ჩვენს ქართულს უპრობლემოდ ეწყობა. იმდენად ემოციურია, რომ თამაშის შემდეგ ჩვენზე გაოფლილი სეგრტია ხოლმე. თამაშში სრულადაა ჩართული, გვამხნევებს, გვისწორებს, თამაშის მსვლელობისა, ახალ დავალებებს გვაძლევს... კარგი ფსიქოლოგია. იოლად შეუძლია ნაკლებადმოტივირებული ფეხბურთელი შემართული და მობილიზებული გახადოს. კარგი მწვრთნელი, განათლებული, კეთილი და თბილი პიროვნებაა.

**- ახლა "ვიტ ჯორჯიაზე" ვთქვათ, ზედიზედ 12 მატჩი მოიგეთ, მე-13 შეხვედრა "ბორჯომთან" სტუმრად გელით. შეძლებთ სერიის გაგრძელებას?**

- 13-ს საკრალურ რიცხვს უწოდებენ, მაგრამ ჩემთვის საყვარელი რიცხვია. ჩვენ ჩემპიონობა გვინდა და ოქროს მედლებისკენ გამიზნულად მივდივართ.

**- "დინამოს" მოუგებთ?**

- უნდა მოვუგოთ. ცდას არ დავაკლებთ და, იმედია, მოვიგებთ.

**დავით ცაბაძე**



ირაკლი კლიმიაშვილი

დიდი ქორწილის მოლოდინი

# რუნი ჯვარს იწერსო

## ქორწილი ფეხბურთის ნაცვლად: ოთხდღიანი მდიდრული წვეულება საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე...

**უეინ რუნი** და **კოლინ მაკლაფლინი** ოთხდღიანი ქორწილისათვის ემზადებიან. ექსტრავაგანტული წვეულება სამხრეთ საფრანგეთში, ლაჟვარდოვან სანაპიროზე მოეწყობა. ახალგაზრდა წყვილს ეს სიამოვნება 3 მილიონი გირვანქა დაუჯდება.

ქორწილს 60-მდე სტუმარი დაესწრება. მათ დანიშნულების ადგილას კერძო თვითმფრინავები ჩაიყვანს. ცერემონიის ადგილი კოლინმა შეარჩია. ის რამდენიმე თვის განმავლობაში იტალიასა და საფრანგეთში საგანგებოდ ამ მისიით მოგზაურობდა.

წვეულების ზუსტი ადგილი, უეინისა და კოლინის გარდა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის, და კიდევ ერთმა მანჩესტერულმა კომპანიამ, რომელიც საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს.

სტუმართა შორის იქნებიან სახელგანთქმული ბრიტანელი მოკრივე **რიკი ჰატონი**, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები თავიანთი მეუღლეებითა და მეგობრებით და, რა თქმა უნდა, სამწვრთნელო შტაბი. ქორწინების აღნიშვნა 10 ივნისს დაიწყება. ჯვრისწერა 12 ივნისს შედგება. სტუმრებს უმორჩილესად სთხოვეს, 14 ივნისამდე არაფერი დაგეგმონ.


უეინ რუნი და კოლინ მაკლაფლინი

ცერემონიაზე მისულ ადამიანებს თეთრი და შავი სალამოს ტანსაცმელი უნდა ეცვათ. მათ თან არ უნდა ჰქონდეთ ფოტოაპარატები, აგრეთვე მობილური ტელეფონები, რომლითაც ფოტოების გადაღება შეიძლება. ერთ-ერთი ჟურნალი ქორწილის გაშუქების ექსკლუზიური უფლებისათვის 2.5 მილიონ გირვანქას იხდის. რუნი და მაკლაფლინი ამ თანხის ნაწილს საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავენ.

კოლინს 100 ათას გირვანქად ღირებული საქორწინო კაბა ეცმევა. მას ნიუ იორკის მოდის სახლი "მარკეზა" შეკერავს. იმ დროს, როდესაც ავსტრიასა და შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატი იქნება გაჩაღებული, ინგლისის ნაკრების ვარსკვლავები რუნის ქორწილში მოილხენენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დროგბა მოურინიოსთან ინტერში

## მილანელებმა ბარსელონას ჟულიო სეზარი არ დაუთმეს...

**ჟოზე მოურინიოს,** შეიძლება, "ინტერის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. ეს ინფორმაცია გუშინდელ ნომერში გაუწყეთ. ამ ამბის გახმაურებისთანავე, **დიდიე დროგბასაც** მილანში გადასვლა უნინასწარმეტყველეს. იტალიური სააგენტოების ცნობით, კოტდივუარელი თავდამსხმელი "ნერაძურიში" გააგრძელებს კარიერას. დიდიე "ჩელსიდან" წასვლას აპირებს. მან ამის შესახებ იანვრის ტრანსფერებისას განაცხადა. "ინტერის" გარდა, დროგბას შეძენა "რეალმა", "მილანმა" და "ბარსელონამ" მოისურვეს. ფეხბურთელის არჩევანს იმ გუნდის სასარგებლოდ გააკეთებს, სადაც მოურინიო დაინიშნება.



დიდიე დროგბა

"ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწოდებთ: "კორიერე დელო სპორტი", ესპანურ გაზეთებზე დაყრდნობით, წერს, რომ მილანურ გრანდში **რონალდინიოც** ჩაირიცხება. დასახელებულია თანხაც - გარიგების შემთხვევაში, "ბარსელონამ" 60 მილიონი ევრო უნდა მიიღოს. შესაძლოა, თანხის ნაწილის სანაცვლოდ, კატალონიაში **მარკო მატერაცი** წავიდეს. ბარსელონელებს ბრაზილიელი მეკარე **ჟულიო სეზარი** სურდათ, მაგრამ "ნერაძურიმ" მის დათმობაზე უარი განაცხადა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ რონალდინიოს მოსალოდნელი ტრანსფერი უკვე მრამდენედ კატეგორიულად უარყო.

ინვესტიციები

# ბრიატორემ ქუინზ პარკს ფული უშოვნა

"ქუინზ პარკ რეინჯერსმა" კიდევ რამდენიმე მილიონი გირვანქა იშოვნა. ლონდონურმა კლუბმა, რომელიც მეორე დივიზიონში ასპარეზობს და სამომავლოდ პრემიერლიგაში აღზევება აქვს გადაწყვეტილი, კომპანია "ლოტოსთან" გააფორმა კონტრაქტი. იტალიელები "რეინჯერსის" ტექნიკური სპონსორები გახდნენ. გარიგება კლუბის ერთ-ერთი მფლობელის, **ფლავიო ბრიატორეს** უშუალო მონაწილეობით განხორციელდა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ბრიატორემ ლონდონში პრესკონფერენცია გამართა. მან მიმომხილველებს აუწყა, რომ "ქუინზ პარკის" ხელმძღვანელები ჰაერში ფულის ფანტვას არ აპირებენ. ისინი მიზანმიმართულად, გრანდიოზული ხარჯების გარეშეც აუცილებლად მიაღწევენ მიზანს. ლოტო "რეინჯერსს" ხუთი წლის განმავლობაში 20 მილიონ გირვანქას გადაუხდის. "ქუინზ პარკს" ასეთი სარფიანი კონტრაქტი არასოდეს გაუფორმებია.


ქუინზ პარკ რეინჯერსის
ერთ-ერთი ბოსი ფლავიო ბრიატორე

ბრიატორემ "ქუინზ პარკის" აქციები გასული წლის სექტემბერში შეიძინა. მის გარდა, კლუბში ინვესტიციების ჩადებას დათანხმდნენ ფორმულა ერთის ბოსი **ბერნი ეკლსტოუნი** და ინდოელი მულტიმილიარდერი **ლაქშმი მიტალი**. ამ უკანასკნელს "ფორბსის" უმდიდრესი ადამიანების სიაში მეოთხე ადგილი უკავია. ლონდონურ კლუბს განსაკუთრებით სახელოვანი ისტორია არ აქვს. მას მხოლოდ ერთი ტიტული, ინგლისის ლიგის თასი აქვს მოპოვებული, ისიც შორეულ 1967 წელს.

ტოტენჰემი. ჩაშლილი ტრანსფერები

# სტეკელენბურგი ლონდონში არ ითამაშებს

## ლიონმა ტოტენჰემს ფრედის მიყიდვაზე უარი უთხრა...

"აიაქსის" გოლკიპერმა **მაარტენ სტეკელენბურგმა** "ტოტენჰემში" გადასვლაზე უარი თქვა. ფეხბურთელს დაწვრილებითი კომენტარი არ გაუკეთებია. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ამსტერდამში დარჩენა ჩათვალა საჭიროდ. ერთი დღით ადრე მისმა თანაგუნდელმა **ჯონი ჰეიტინგამ** მადრიდის "ატლეტიკოსთან" გააფორმა კონტრაქტი. "აიაქსმა" ამ ტრანსფერიდან 10 მილიონი ევროს დაიბევა. მას დაახლოებით ამდენივეს გაკეთება შეეძლო, სტეკელენბურგი რომ ლონდონში წასულიყო. მკითხველს შევახსენებთ, რომ მაარტენი ერთ-ერთი იყო იმ რამდენიმე გოლკიპერს შორის, რომელსაც "მამლები" ეპატიჟებოდნენ. ინგლისური სააგენტოების ცნობით, გაისად "ტოტენჰემის" კარს კამერუნელი **კარლოს იდრის კამენი** დაიცავს. "ესპანიოლის" მეკარესთან წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია.



მაარტენ სტეკელენბურგი

აქვე, ლონდონელთა კიდევ ერთი ჩაშლილი ტრანსფერის შესახებ. "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** განაცხადა, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი **ფრედი**, რომელსაც "ტოტენჰემი" ეპატიჟებოდა, საფრანგეთში დარჩება. ფრედს ლიონური კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. საფრანგეთის ჩემპიონებისათვის მას ახლა განსაკუთრებული ფასი აქვს. წამყვანი თავდამსხმელი **ქარიმ ბენზემა** დაშავებულია და დაახლოებით ერთი თვე ვერ ითამაშებს.

გამოძიება

# კაპელო სასამართლოში

**ინგლისის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** სასამართლოს წინაშე წარდგება. მას მოწმის სტატუსით დაკითხავენ. საქმე ეხება სამენეჯერო კომპანია "გეა უორლდის" საქმიანობას, რომელსაც იტალიელი სამართალდამცველები მთელ რიგ კანონდარღვევებში ადანაშაულებენ. განსასჯელთა სკამზე, სხვებთან ერთად, **მარჩელო ლიპის** შვილი **დავიდე ლიპი** ზის. უმცროსი ლიპი, "გეა უორლდის" სხვა აგენტებთან ერთად, არაერთი ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის საქმეებს უძღვებოდა. პოლიციის ინფორმაციით, ამ დროს ხშირი იყო სხვა აგენტებისა და მოთამაშეების დაშინებისა და შანტაჟის ფაქტები, რაც კონკურენტული გარემოს შექმნას ხელს უშლიდა.


ფაბიო კაპელოს სასამართლოში გამოცხადდება

კომპანიას **ლუჩანო მოჯის** შვილი **ალესანდრო მოჯი** ხელმძღვანელობდა. ერთი კვირის წინათ სასამართლოს ჩვენება მისცა "გეა უორლდის" ყოფილმა კლიენტმა **დავიდ ტრეზეგემ**. თავისი შვილის სასამართლოზე ჩვენება უკვე მისცა იტალიის ნაკრებისა და "იუვენტუსის" ყოფილმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ. მოგეხსენებათ, ფაბიო კაპელოც "იუვეს" ყოფილი დამრიგებელია.

მოსალოდნელი
სატრანსფერო რეკორდი

# სიტი: 45 მილიონი ბერბატოვში?



დიმიტარ ბერბატოვი

"მირორი" სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი მტკიცებით, "მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის სატრანსფერო რეკორდის მოხსნას აპირებს. ის "ტოტენჰემს" **დიმიტარ ბერბატოვის** სანაცვლოდ 45 მილიონი ევროს (!!!) შესთავაზებსო, წერს ტაბლოიდი. ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელი რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღების ცენტრშია. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენა "ჩელსის", "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "მილანს" სურთ. ეს კლუბები "მანჩესტერ სიტიზე" გაცილებით მდიდრები არიან, მაგრამ არცერთ მათგანს აზრად არ მოსვლია ბერბატოვში საარაკო თანხის დახარჯვა. "სიტიში" დიმიტარის თანამემამულე **მარტინ პეტროვი** თამაშობს. მანჩესტერელები მისი მეშვეობითაც შეეცდებიან ბერბატოვის დარწმუნებას.

### ნევილი მომავალ სეზონამდე დაისვენებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი **გარი ნევილი** შიშობს, რომ მინდორს მომავალ სეზონამდე ვერ დაუბრუნდება. 32 წლის ფეხბურთელს 12 თვეა, არ უთამაშია. მან კოჭის ოპერაცია გაიკეთა. ახალი წლის შემდეგ ნევილმა სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში სამჯერ ითამაშა. მან რამდენჯერმე დააპირა ძირითად შემადგენლობაში დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. ნევილის განცხადება უსიამოვნო სიურპრიზი იქნება **სერ ალექს ფერგიუსონისათვის.** მას გამოცდილი ფეხბურთელის დახმარების იმედი ჰქონდა. „იუნაიტედი" პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გადამწყვეტი მატჩებისათვის ემზადება. გარის არყოფნაში დაცვის მარჯვენა ფლანგი **ვესლი ბრაუნს** აბარია. ამ პოზიციაზე რამდენჯერმე **ოუენ ჰარგრივსმაც** ითამაშა.

### ავსტრალიამ ჩინეთიდან ერთი ქულა წაიღო

ავსტრალიამ ჩინეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჩაატარა და უგოლო ფრეს დასჯერდა. უფრო მეტიც, ის ნაგებას გადაურჩა შეხვედრის 89-ე წუთზე მეკარე **მარკ შვარცერმა** 11-მეტრიანი მოიგერია. ავსტრალიელებმა გასვლით მატჩზე შესუსტებული შემადგენლობა ჩაიყვანეს. ტრავმების გამო გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მათ შორის, ლივერპულელი **ჰარი კიუელი**, გამოაკლდა. მთავარმა მწვრთნელმა **პიმ ფერბეეკმა** კი მატჩის წინა სალამო საავადმყოფოში გაატარა. მას გასტროენტრიტის დიაგნოზი დაუსვეს. ავსტრალიური დელეგაციის რამდენიმე წევრმა შეშფოთებით განაცხადა, გვეგონა, მას გულის შეტევა ჰქონდაო. თამაშის წინ დღეს კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა: იმის გამო, რომ სტადიონზე პოლიციის ესკორტი არ მივიდა, ავსტრალიელებმა ვარჯიშის ჩატარებაზე უარი განაცხადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. სიკვდილ-სიცოცხლის საქმე

# პრეზიდენტები მთავრობის წინააღმდეგ

## ფიფა პირენეელთა ავტორიტეტს არ მოერიდება, დისკვალიფიკაცია რეალურია...

ესპანეთის მთავრობისა და ფიფას დაპირისპირების შესახებ ბოლო დღეებია, არაფერი დაწერილა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ პრობლემა ამოწურულია. შეგახსენებთ, ესპანეთის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხაიმე ლისავეტსკიმ საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლითაც ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციას საპრეზიდენტო არჩევნების პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე ჩატარებას ავალდებულებდა. ცნობილია, რომ ფიფა ეროვნული საფეხბურთო ასოციაციებისა თუ ფედერაციების საქმიანობაში მთავრობის წარმომადგენელთა ჩარევას ყოველთვის მედგრად ეწინააღმდეგება. ესპანური ფეხბურთის უმაღლესმა ხელისუფალმა ანხელ მარია ვილიარმა ფიფა დაუყოვნებლივ ჩააყენა საქმის კურსში და საჭირო დახმარებაც ოპერატიულად მიიღო. შექმნილ სიტუაციას თვით ზეპ ბლატერი გამოეხმაურა და პირდაპირ განაცხადა, თუ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ფედერაციას თავს არ დაანებებს, ესპანეთის ნაკრებსა და ევროტურნირებზე მოასპარეზე ყველა კლუბს დისკვალიფიკაციას მივუსჯითო. ფიფას პრეზიდენტის ამ კატეგორიულმა განცხადებამ ესპანური საფეხბურთო საზოგადოება სერიოზულად შეაშფოთა. დაპირისპირებულმა მხარეებმა გამოსავლის ძიება დაიწყეს, თუმცა საერთო ენა მაინც ვერ მონახეს.



ზეპ ბლატერი

ამასობაში, ესპანეთში საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდა. იყო იმედი, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ხელისუფლებაში მისვლის შემთხვევაში პრობლემა ავტომატურად მოგვარდებოდა, რადგან ლისავეტსკი თანამდებობას დაკარგავდა. თუმცა არჩევნებში კვლავ საპატეროს სოციალისტურმა პარტიამ გაიმარჯვა და ლისავეტსკიმ პოსტი შეინარჩუნა. ბლატერის სერიოზული გაფრთხილების მიუხედავად, სპორტის სახელმწიფო მდივანი უკან დახევას არ ჩქარობს. ადრე გაუწყეთ, რომ ანხელ მარია ვილიარმა ფედერაციის საგანგებო ყრილობა მოიწვია და დელეგატების წინაშე არჩევნების წლის ბოლოს ჩატარების ინიციატივით წარდგა. ყრილობამ პრეზიდენტის წინადადებას კენჭი უყარა და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა. ლისავეტსკის, რა თქმა უნდა, ეს ძალიან არ მოეწონა და სენიორ ვილიარს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საგანგებო სამთავრობო დადგენილება უნდა შეასრულოს. ეს ფაქტი ესპანური ფეხბურთის საერთაშორისო ასპარეზიდან მოკვეთის საფრთხეს ერთი-ორად ზრდის.

ამით შეშფოთებულმა პრიმერადივიზიონური კლუბების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, კონფლიქტის მოგვარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. "ატლეტიკოს" პრეზიდენტის **ენრიკე სერესოს** ინიციატივით, ლა ლიგის გუნდების პრეზიდენტთა საგანგებო სხდომა გაიმართა. ყრილობაზე შექმნილი სიტუაცია დეტალურად განიხილეს და დაადგინეს, რომ ელიტური ლიგის გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა ფედერაციას უჭერს მხარს. თუმცა ისინი იმასაც აცნობიერებენ, რომ ამით კონფლიქტი არ ამოიწურება. ამიტომ ყრილობამ სარეკომენდაციო წერილი შეადგინა. ავტორიტეტულმა პრეზიდენტებმა სენიორ ხაიმე ლისავეტსკის თხოვნით მიმართეს, რომ სამეფო ფედერაციას მშვიდად მუშაობის საშუალება მისცეს. ჯერჯერობით უცნობია, რას მოიმოქმედებს სპორტის სახელმწიფო მდივანი.

ალბათ, ბევრს აინტერესებს, რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს არჩევნები ოლიმპიადამდე ჩატარდება, თუ ოლიმპიური თამაშების შემდეგ. ოფიციალურ განცხადებებში, ესპანურ სპორტში მიმდინარე რეფორმებისთვის ხელის შეწყობის აუცილებლობაზე აპელირებენ, თუმცა ამ ვერსიის არავის სჯერა. ესპანეთში ყველამ იცის, რომ ხაიმე ლისავეტსკი ანხელ მარია ვილიარს მოსისხლე მტრად აღიქვამს. სპორტის სახელმწიფო მდივანმა მთავრობის, ფაქტობრივად ყველა მაღალჩინოსანი დაარწმუნა, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ესპანურ ფეხბურთს დაღმავალი გზით მიაქანებს. ლისავეტსკის საკუთარი პოზიციის გასამყარებლად **რაულისა** და **ლუის არაგონესის** დაპირისპირებაც მოჰყავს. უნდა აღინიშნოს, რომ გონსალეს ბლანკოს "სელექსიონიდან" გაძევებას მთავრობის წევრები ყველაზე მტკივნეულად აღიქვამენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სპორტის სახელმწიფო მდივანმა იმდენი შეძლო, რომ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ფედერაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ განაწყო. რა თქმა უნდა, ამის შესახებ ღიად და დაუფარავად არავინ ისაუბრებს, მაგრამ თავად მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი გვაფიქრებინებს, რომ საერთო ენის გამონახვა ძალიან გაჭირდება. ყველაფერი ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული, პირველად ვის უმტყუნებს ნერვები. დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ ფიფა ესპანეთის ავტორიტეტს არ მოერიდება. ბლატერი არ დაუშვებს, რომ ფიფას კანონმდებლობის ფეხქვეშ გათელვის პრეცედენტი გაჩნდეს. ერთი სიტყვით, ხაიმე ლისავეტსკი გონს უნდა მოეგოს. არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, ვილიარმა სირაქლემის პოზიცია უნდა მიიღოს და ფიფაში აღარ იჩივლოს. თუმცა მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება ნაკლებად სავარაუდოა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# შუსტერმა ჰუნტელაარი მოიწონა

## ჰოლანდიელი ფორვარდი სამეფო კლუბის უპირველესი სამიზნეა

**კლაას იან ჰუნტელაარი** მადრიდის "რეალს" უახლოვდება. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ გამცნეთ, რომ ჰოლანდიელი ფორვარდის კანდიდატურა **პრედრაგ მიატოვიჩმა** დირექტორთა საბჭოს კრებაზე წამოაყენა. მოკლედ შეგახსენებთ, რომ სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი "აიაქსის" ფორვარდს ასაკისა და უხვგოლიანობის გამო ანიჭებს უპირატესობას. მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ დაბეჭდილმა სტატიებმა "აიაქსის" ფორვარდს ენთუზიაზმი აღუძრა. ჰუნტელაარმა ამსტერდამში ჩასულ "დიარიო ასის" კორესპონდენტს პირდაპირ განუცხადა, თუ დამიძახებენ, მადრიდში იმავე დღეს ჩავფრინდებიო. როგორც ჩანს, ესპანეთის დედაქალაქში ჩასვლა მას მალე მოუწევს.

გუშინ **ბერნდ შუსტერმა** სამეფო კლუბის ბაზაზე წამყვანი გაზეთების





კლაას იან ჰუნტელაარი

ჟურნალისტებს უმასპინძლა. გერმანელმა სპეციალისტმა პრედრაგ მიატოვიჩს არჩევანი მოუწონა და გულწრფელად აღნიშნა, ჩვენი გენერალური დირექტორი ყოველთვის ნაყოფიერად მუშაობსო. შუსტერს ჰუნტელაარი ძალიან მოსწონს. ის დარწმუნებულია, რომ ჰოლანდიელი "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების შემთხვევაში, "რეალის" შეტევას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. მოგეხსენებათ, ახლა ესპანური გრანდი **რუუდ ვან ნისტელროის** ტრავმის გამო სერიოზული პრობლემების წინაშე იმყოფება. ჰერ ბერნდი "აიაქსის" ვარსკვლავის მადრიდში გადაბარგების შემთხვევაში ანალოგიურ სირთულეს აღარ წააწყდება. გერმანელმა ხსენებულ პრესკონფერენციაზე ჰუნტელაარის ღირსებებს საგანგებოდ გაუსვა ხაზი: *"ნურავინ იფიქრებს, რომ არჩევანი სპონტანურად გაკეთდა. ჰუნტელაარს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით. მართალია, მიატოვიჩი ინდივიდუალურად მუშაობდა, მაგრამ ჩემთან სისტემატური კავშირი ჰქონდა და ახალ ინფორმაციებს მაწვდიდა. "რეალს" ამა თუ იმ ფეხბურთელის შეფასებისას განსაკუთრებული მოთხოვნები აქვს. იმისათვის, რომ თეთრი მაისურა მოირგო, სწრაფი, ტექნიკური, ფიზიკურად გამძლე და გონიერი უნდა იყო. თამამად ვიტყვი, კლაას იან ჰუნტელაარი ამ ყველა მოთხოვნას პასუხობს".*

მადრიდელებს სხვა კლუბების გამოცდილება ხიბლავთ. ცნობილია, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატიდან, განსაკუთრებით კი "აიაქსიდან", შეძენილი ახალგაზრდა ვარსკვლავები ახალ კლუბებში დიდ წარმატებებს აღწევენ. ყველა გვარის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მარტო ლეგენდარული **იოჰან კრუიფის, ვან ბასტენის, გულიტისა** და **რაიკაარდის** მაგალითი რად ღირს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ტრადიცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. მოკლედ, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ გუშინ ოფიციალურად განაცხადა, რომ ჰუნტელაარი მათი გუნდის უპირველესი სამიზნეა. გამორიცხული არ არის, "რეალის" მესვეურები და "აიაქსის" ხელმძღვანელობა ამ კვირის ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს და ტრანსფერი გაჩარხონ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ამსტერდამული მხარე ჰუნტელაარს 21 მილიონ ევროდ აფასებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ატლეტიკო

# ჰეიტინგა ვისენტე კალდერონზე

## ჰოლანდიელი ქომაგებს თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას ჰპირდება

ამბიციური მიზნებისთვის მებრძოლი "ატლეტიკო" მიმდინარე ამოცანების გადაჭრით არ კმაყოფილდება და მომავალი სეზონისთვის ზრუნვას ახლავე იწყებს. **ენრიკე სერესომ** მორიგ წარმატებას მიაღწია. გემახსოვრებათ, მცირე ხნის წინათ მადრიდელებმა საზოგადოებას **უიფალუშის** შეძენის შესახებ ამცნეს. გუშინ ახალი ინფორმაცია გავრცელდა. ოფიციალურად ითქვა, რომ მადრიდელებმა "აიაქსიდან" **ჯონი ჰეიტინგა** გადაიბირეს. ეს ინფორმაცია გუშინდელ ნომერშიც გაუწყეთ. ქვემოთ ტრანსფერზე უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. გარიგების ეკონომიკური დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება, მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰოლანდიელი "ვისენტე კალდერონზე" მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში იასპარეზებს. ერთ-ერთ მადრიდულ გაზეთში დაიწერა, რომ "აიაქსი" საკომპენსაციო თანხის სახით 10 მილიონ ევროს მიიღებს, თუმცა ვიმეორებთ, რომ ეს არ გახლავთ ოფიციალური ინფორმაცია.

24 წლის ჰეიტინგა კარიერის პრიმერა დივიზიონში გაგრძელების შესაძლებლობით აღფრთოვანებულია. გუშინ მან



ჯონი ჰეიტინგა

საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ "ატლეტიკოს" ევროპის ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად მიიჩნევს. ნახევარმცველი გულშემატკივრებს ამთავითვე თავდადებულ თამაშს ჰპირდება. თუ მას დავუჯერებთ, მომავალი სეზონიდან "როხიბლანკო" გაცილებით უფრო სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს. დაგვეთანხმებით, ამბიციური განცხადებაა, მაგრამ ჰეიტინგას შესაძლებლობებში თავად მადრიდელებსაც არ ეპარებათ ეჭვი. ენრიკე სერესო ოპტიმიზმითაა აღსავსე. ერთ-ერთ ტელევიზიასთან საუბარში პრეზიდენტმა აღნიშნა, ნეტავ შეიძლებოდეს, რომ ჯონიმ მომავალი უქმეებიდანვე ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ითამაშოსო.

სავარაუდოა, რომ ჰეიტინგას ნახევარდაცვის ფლანგს ჩააბარებენ. **ვესლი სნეიდერის** მადრიდის "რეალში" წასვლის შემდეგ "აიაქსში" ეს ამპლუა სწორედ ჯონის ჩააბარეს. ევროპელი სპეციალისტები ჰოლანდიელის თამაშს საუკეთესო შეფასებას აძლევენ. ბუნებრივია, სრული ინფორმაციისთვის **ხავიერ აგირეს** მოსაზრებაც უნდა გაგაცნოთ. მექსიკელი სპეციალისტი ყველაზე მეტად ერთი გარემოებითაა აღფრთოვანებული. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჰეიტინგამ "აიაქსის" საფეხბურთო სკოლა გამოიარა და 17 წლის ასაკიდან ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ამასობაში, "ატლეტიკოს" სერიოზული საკადრო პრობლემა დაემუქრა. გასულ უქმეებზე "სევილიასთან" მატჩში **აბიატიმ** ტრავმა მიიღო. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ იტალიელის გამოჯანმრთელებას ორი დღე ეყოფოდა, თუმცა განმეორებითმა სამედიცინო გამოკვლევამ შემაშფოთებელი ფაქტი გამოავლინა. აბიატის აქილევსის მყესი აქვს დაჭიმული. დიდია შანსი იმისა, რომ მან მომავალი ტურის შეხვედრაში ვერ ითამაშოს. სიტუაციას "როხიბლანკოს" მეორე მეკარის, **ლეო ფრანკოს** მიკროტრავმაც ამძიმებს. არგენტინელ გოლკიპერს ფეხის ტკივილის გამო ბოლო ორი ვარჯიში გაუცდა. მიუხედავად ყველაფრისა, ხავიერ აგირე ოპტიმიზმს არ კარგავს და იმედოვნებს, რომ სათადარიგო გუნდიდან გამოუცდელი მეკარის გამოძახება არ დასჭირდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ლაპორტა უკვე მერამდენედ: რონალდინიო არ იყიდება!

## ბარსელონელი პრეზიდენტი მარკას სიცრუის გავრცელებაში ადანაშაულებს, ხოლო კატალონიას ესპანეთსა და საფრანგეთს შორის მდებარე ქვეყანას უწოდებს


ხოან ლაპორტას რონალდინიო არა და არ ეთმობა

"მორჩა და დამთავრდა, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ რონალდინიო "ბარსელონას" დატოვებს", - ასეთი შესავლით გამოაქვეყნა "დიარიო მარკამ" გუშინდელი სტატია. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, 25 მარტს, გვიან ღამით, "ბარსელონას" დირექტორთა საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა. ბუნებრივია, შეხვედრაზე ჟურნალისტები არ დაუშვეს. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კოლეგებს უტყუარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, "დიარიო მარკა" სრული სერიოზულობით იუწყება, რომ კატალონიური გრანდის ხელისუფლებამ რონალდინიოს ტრანსფერზე დაყენება გადაწყვიტა. საამისო მოტივად ბრაზილიელი ფორვარდის გაუთავებელი პრობლემები დასახელდა. "ბარსას" ხელმძღვანელობა გაუჩოს შრომისმოყვარეობას უწუნებს. ისინი ფიქრობენ, რომ სამხრეთამერიკელი ისე არ ვარჯიშობს, როგორც პროფესიონალ ფეხბურთელს შეეფერება. კიდევ იმის გამო საყვედურობენ, რომ ფაქტობრივად, ყოველ ღამე ბარებში დაეხეტება და სახლში გამთენიისას ბრუნდება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "დიარიო მარკამ" "ბარსელონის" ხელმძღვანელების უკმაყოფილების ყველა საბაბი ჩამოთვალა. მადრიდული გამოცემის ავტორიტეტიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ საქმე მართლაც სერიოზულადაა და გაუჩო "ბარსელონაში" ბოლო დღეებს ითვლის...

გუშინ, ჟოან ლაპორტამ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და "მარკას" მიერ გამოქვეყნებული სტატიის წინააღმდეგ გაილაშქრა. პრეზიდენტმა ჩვენი კოლეგების შემოქმედებას აბსურდი და ტყუილი უწოდა: "პირდაპირ ვიტყვი, რომ აღშფოთებას ვერ ვმალავ. სამი საათის წინ ჩემმა თანაშემწემ კაბინეტში "დიარიო მარკა" შემომიტანა. სტატიას ვკითხულობდი და საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. როგორც ჩანს, ამ გაზეთს ცრუ ინფორმატორები ჰყავს. ვურჩევ, ფული ტყუილად არ დახარჯონ. რონალდინიოს მომავალზე საერთოდ არ გვილაპარაკია. ჩვენ მიმდინარე საკითხები განვიხილეთ და უახლოეს დღეებში გადასაჭრელი ამოცანები დავსახეთ. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ რონალდინიოს მომავალი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ადრეც უამრავჯერ მითქვამს, მაგრამ არ დაგზარდებით და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ "ბარსელონისა" და გაუჩოს გზები არ გაიყრება. ფრენკ რაიკაარდთან სისტემატიური ურთიერთობა მაქვს. ჩემი მოღვაწეობა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მთავარ მწვრთნელს დიდ პატივს ვცემ და მის აზრზს ყოველთვის ვითვალისწინებ. პირადად მე, რონალდინიოს გაყიდვა გაუმართლებლად მიმაჩნია, მაგრამ მწვრთნელთან კონსულტაციის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ ვდგამ. მიხარია, რომ რაიკაარდი ჩემს მოსაზრებას იზიარებს. მას ირიბადაც კი არ მიუნიშნებია, რომ სამხრეთამერიკელი გუნდიდან უნდა გავუშვათ. საზოგადოებას დასკვნების გამოტანა არ გაუჭირდება. პრესა თავისუფალია და შეუძლია ის დაწეროს, რასაც თავად ჩათვლის საჭიროდ, მაგრამ ვფიქრობ, გულშემატკივრებისთვის უფრო სარწმუნო ჩემი განცხადება უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტი ვარ და სჯობს, ჩემგან მოისმინონ ყველა ინფორმაცია."

გუშინ, "ბარსელონა" საზოგადოებრივი ინტერესის არეალში მხოლოდ რონალდინიოს გამო არ მოექცა. შესაძლოა, ლაპორტას პრესკონფერენციის მეორე ნაწილი კიდევ უფრო საინტერესოც იყოს. "ბარსას" პრეზიდენტმა კატალონიისადმი პატრიოტული დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოააშკარავა. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ეცოდინებათ, რომ ბატონი ჟოანი ყოველთვის ცდილობდა კატალონიის ინტერესები დაეცვა. ის ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციასა და ქვეყნის მთავრობასთან დაპირისპირებასაც არ ერიდებოდა. ლაპორტას მწვავე განცხადებები არაერთხელ წაგვიკითხავს, მაგრამ ის, რაც გუშინ თქვა, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. "ბარსელონის" პრეზიდენტმა აშკარა სეპარატისტული გამოხდომით დაგვამახსოვრა თავი: "ჩვენი კლუბის სლოგანი შემთხვევით არ შერჩეულა. დიახ, ბარსელონისტები ვამტკიცებთ, რომ "ბარსა" უფრო მეტია ვიდრე, უბრალოდ, კლუბი. რა თქმა უნდა, ამაში ჩვენი საფეხბურთო მსოფლმხედველობა და გემოვნება იგულისხმება, მაგრამ სლოგანი პოლიტიკური მოტივებითაცაა შედგენილი. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრ ადამიანს განვარისხებ, ზოგი სამუდამოდ შემიძულებს, მაგრამ მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც გული მკარნახობს. კატალონია სხვა სახელმწიფოს შემადგენელი ერთ-ერთი რეგიონი არ არის. რა თქმა უნდა, იურიდიულად სწორედ ეს სტატუსი გვაქვს, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი მორალი და ისტორიული სამართლიანობაა. კატალონია ჩემთვის ესპანეთსა და საფრანგეთს შორის მდებარე ქვეყანაა. სამწუხაროდ, სუვერენიტეტს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ეს დროის საკითხია. დარწმუნებული ვარ, "ბარსა" კატალონიელთა ოცნების რეალიზაციაში უდიდეს წვლილს შეიტანს. ადრე თუ გვიან, საერთო ძალისხმევით, ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი გახდება."

როგორც წესი, სეპარატისტულ მოძრაობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. უმთავრესი, რა თქმა უნდა, თავისუფლებისკენ ლტოლვაა. ლაპორტას არაერთხელ უთქვამს, რომ სწორედ თავისუფალ კატალონიაზე ოცნებობს, თუმცა ესპანეთის სამეფოს ის სხვა მოტივების გამოც უპირისპირდება. პირენეული გრანდის ხელმძღვანელის მტკიცებით, ფეხბურთის სამეფო ფედერაცია და ზოგადად მთავრობა, კატალონიას ყოველთვის ჩაგრავს: "შეუძლებელია, პროტესტის გრძნობა არ გაგიჩნდეს, როცა ელემენტარული რიცხობრივი უპირატესობის ლოგიკით უსამართლოდ გჩაგრავენ. ესპანელები ბევრნი არიან, ჩვენ კი ცოტანი. ბევრს იმის აღიარებაც არ უნდა, რომ კატალონიელები ერი ვართ და არა ერთ-ერთი ესპანური ტომი. ამ პირობებში სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვენი საყვარელი ქვეყნის სახელით თამაშს გვიკრძალავენ. მოგეხსენებათ, რამდენიმე თვის წინ კატალონიის ნაკრების ოფიციალური ამხანაგური მატჩის ჩატარება გვინდოდა. თავიდან ფიფასა და უეფას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ საქმეში ესპანეთის მინისტრთა კაბინეტი, სამეფო ფედერაცია ჩაერია და შეხვედრის გამართვა აგვიკრძალეს. სწორედ ეს მაცოფებს. ისე გვეპყრობიან, როგორც ფაშისტების მიერ საკონცენტრაციო ბანაკში მომწყვდეულ ტყვეებს. ბუნებრივია, 21-ე საუკუნეში და ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ვერ დაგვხოცავენ, თუმცა კატალონიელებს ეთნიკური ნიშნით ყლეტვაც გვახსოვს. მოკლედ, უსამართლობის მსხვერპლნი ვართ და ეს განცდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურვილს კიდევ უფრო გვიმძაფრებს."

დაახლოებით ერთი წლის წინათ პორტუგალიის ქალაქ ალგარვეში ათწლამდელთა ბავშვების მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი გაიმართა. "ბარსელონის" საყმაწვილო სკოლის ბავშვები ფინალში გავიდნენ, სადაც ვალენსიელ თანატოლებს დაუპირისპირდნენ. ბიჭუნების იმ თამაშს დიდი სკანდალი უძღოდა წინ. ორგანიზატორებმა შეხვედრის დაწყებამდე ესპანეთის ეროვნული ჰიმნი დაუკრეს, მაგრამ კატალონიელი ბავშვები ამ დროს მოედანზე არ იმყოფებოდნენ. მაშინ ხმები გავრცელდა, დელეგაციის ხელმძღვანელობამ ამ გზით პოლიტიკური დემარში მოაწყოო. არსებობდა სხვა მოსაზრებაც, თითქოს საქმე უბრალო შეცდომასთან გვქონდა. ახლა კი ირკვევა, რომ მაშინ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი...

25 მარტს "ბარსა", 2000 წელს დაბადებული ბავშვების გუნდით, "ბენფიკას" დაუპირისპირდა. რაოდენ ბანალურიც არ უნდა იყოს, შარშანდელი ისტორია ახლაც განმეორდა. პორტუგალიელი ბავშვები გაოცდნენ, როცა მათი თანატოლები ესპანეთის ჰიმნის დაკვრისას მოედნიდან გავიდნენ. დიახ, კატალონიელმა მოზარდებმა მხოლოდ პორტუგალიის ჰიმნი მოისმინეს და მინდორს თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წამით ადრე დაუბრუნდნენ. ესპანურ პრესაში აღნიშნულ ფაქტს სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. ზოგმა ეს ისტორია ძალიან მტკივნეულად მიიღო. სპორტულმა გაზეთებმა პოლიტიკოსების განცხადებებიც კი გამოაქვეყნეს. მთავრობის წევრები კატალონიური საყმაწვილო გუნდის მესვეურებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ და ნაციონალიზმში ადანაშაულებენ. მორიგ დემარშს ყველაზე მწვავე რეაქცია კასტილიისა და ლეონის პარლამენტში მოჰყვა. ამ ორგანომ საგანგებო განცხადება მიიღო. დეპუტატები საკითხის სერიოზულად შესწავლას ითხოვენ და სეპარატიზმის გაჩაღებისთვის კონკრეტული პირების დასჯას ელიან.

სკანდალმა იმდენად დიდი მასშტაბი შეიძინა, რომ "ბარსას" ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, საზოგადოების წინაშე ახსნა-განმარტებებით წარმდგარიყო. საგანგებო პრესკონფერენციაზე **ჩიკი ბეგირისტაინმა** ასეთი რამ განაცხადა: "მიკვირს, ამხელა აჟიოტაჟი რატომ ატყდა. საკლუბო ფეხბურთში ნაციონალურ ჰიმნს არავინ უკრავს. მივაჩნია, რომ იმ დღეს "ბარსას" ჰიმნი უნდა აჟღერებულიყო. მარტივი ლოგიკაა. თუ მაინც და მაინც, ეროვნული ჰიმნი უნდა დაუკრან, მაშინ კატალონიის სახელით თამაშის უფლება მოგვცენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა შემთხვევაში მაინც ჩვენ გვადანაშაულებენ. არადა, ყოველთვის პატიოსნად ვმუშაობთ."

**ილია ნიკოლაიშვილი**

ლივერპული. ტრანსფერები

# მასკერანოს სამი მატჩი და ჯარიმა

## ალონსოს მადრიდში ელოდებიან, მერსისაიდელები შეიძლება რიისესაც გამოეთხოვონ...


ხავიერ მასკერანო

**ხავიერ მასკერანოს** სოლიდური ფინანსური ჯარიმა ელოდება. „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისას მომხდარი ინციდენტის გამო, მას შეიძლება 100 ათასი გირვანქის გადახდა მოუხდეს. „ლივერპულის" ნახევარმცველი დღესაც იმეორებს, რომ წარმოდგენა არ აქვს, რატომ გააძევა **სტივ ბენეტმა**. ყველაფერი ტაიმის მიწურულს მოხდა, როდესაც მსაჯთან კამათისთვის ბენეტმა **ფერნანდო ტორესს** ყვითელი ბარათი აუფრიალა. მასკერანო თანაგუნდელს გამოექომაგა. არბიტრმა არგენტინელს კამათის შეწყვეტისკენ მოუწოდა. შემდეგ ჯიბეზე ხელი გაიკრა და ისიც გააფრთხილა. ეს ხავიერის მეორე გაფრთხილება აღმოჩნდა. მასკერანო მინდვრიდან დიდხანს არ გავიდა. საქმეში ჩაერია ლივერპულის თავკაცი რაფა ბენიტესი. ხავიერი გასახდელამდე მისმა თანაგუნდელმა პიტერ კრაუჩმა მიაცილა.

ორი ყვითელი ბარათი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს (თუ ფეხბურთელი პირდაპირ წითელ ბარათს დაიმსახურებს, სამმატჩიანი სასჯელით სჯიან), მაგრამ არბიტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა მძიმე დანაშაულია. მასკერანომ ეს მოთხოვნა არაფრად ჩააგდო. მას, შეიძლება, სამი თამაშის გამოტოვება მოუხდეს. ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის გარდა, ის იმ თანხასაც გადაიხდის, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. 100 ათასი გირვანქა ფეხბურთელის ორი კვირის ხელფასია. "ლივერპული" აპელაციის შეტანას აპირებს. ვითარება უახლოესი 48 საათის განმავლობაში გაირკვევა.

ზაფხულის ტრანსფერებისას "ლივერპული", შეიძლება, ორ ფეხბურთელს გამოეთხოვოს. „რეალს" ინგლისელებთან გარიგება სურს. სამეფო კლუბი საყრდენ ნახევარმცველ **ჩაბი ალონსოს** ეპატიჟება. მადრიდელებმა მერსისაიდელებს 8 მილიონი გირვანქა და ახალგაზრდა შუახაზელი **რუბენ დე ლა რედი** შესთავაზეს. 22 წლის დე ლა რედი გასულ ზაფხულს „ხეტაფეში" 2 მილიონ გირვანქად გაიყიდა. მის კონტრაქტში ჩაიდო პუნქტი, რომელიც „რეალს" ერთი წლის შემდეგ რუბენის გამოსყიდვის უფლებას ანიჭებდა. ესპანურ გრანდს 1.5 მილიონით მეტის გადახდა მოუწევს. დე ლა რედი შთამბეჭდავ სეზონს ატარებს. **ლუის არაგონესმა** ის ესპანეთის ნაკრებში გამოიძახა.

შესაძლოა, „ლივერპული" დატოვოს **ჯონ არნე რიისემაც**. ნორვეგიელი ფეხბურთელი სათამაშო პრაქტიკის სიმცირითაა უკმაყოფილო. ამ სეზონში 27 წლის რიისემ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. **რაფა ბენიტესი** მის ნაცვლად ბრაზილიელ ფაბიო აურელიოს ათამაშებს. „ენფილდზე" გადასვლის შემდეგ არ ყოფილა სეზონი, როდესაც რიისეს მატჩების 80 პროცენტით მაინც არ ეთამაშოს. წლევანდელი, რიგით მეშვიდე სეზონი გამონაკლისია. ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე დაიცდის და თუ არაფერი შეიცვლება, ახალი სამსახურის მოძებნას შეუდგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იუვეს პეტრიჩი უნდა

## ტურინელები მზად არიან, დორტმუნდის ვარსკვლავში 20 მილიონი ევრო გადაიხადონ...

ჯერ ერთი სეზონიც არაა, რაც ხორვატი თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** დორტმუნდის "ბორუსიაში" თამაშობს და ის უკვე გახდა "ვესტფალენშტადიონის" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი. ამას ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ "ბორუსიის" კიდევ ერთი ფორვარდი **ალექსანდერ ფრაი** რვა თვის განმავლობაში ტრავმირებული იყო - ამ დროში პეტრიჩმა მოასწრო და ქომაგთა გულებში მისი ადგილი დაიკავა.

მიმდინარე სეზონში 27 წლის თავდამსხმელის ანგარიშზე 12 გოლია - პეტრიჩმა 2 გოლი მარჯვენა ფეხით გაიტანა, 7 მარცხენით, სამიც თავით და ახლა ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა. მას მხოლოდ **ლუკა ტონი** (ბაიერნი) და **მარიო გომესი** (შტუტგარტი) უსწრებენ. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ჩაატარებს დარჩენილ შეხვედრებს, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ პეტრიჩმა სადებიუტო სეზონშივე გაიბრწყინა. შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ მისით უფრო დიდი გუნდები დაინტერესდნენ.

"ბილდის" ინფორმაციით, BVB-ს ხორვატ ლიდერს ტურინის "იუვენტუსი" ეპატიჟება. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ეს ინფორმაცია საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელეს და ირწმუნებიან, ამ დღეებში "ბორუსიაში" ტურინიდან ფაქსი მივა, რომლის შინაარსიც ასეთი იქნებაო: "მოგვეცით პეტრიჩი და მიიღეთ ჩვენგან 20 მილიონი ევრო!" ტურინული გიგანტი მზადაა, "დორტმუნდისა" და ხორვატიის ნაკრების იმედში ეს თანხა გადაიხადოს. არადა, გასულ ზაფხულს "ბორუსიის" ხელმძღვანელებმა მლადენი "ბაზელიდან" 3.5 მილიონ ევროდ შეიძინეს. შესაბამისად, 20 მილიონის შეთავაზების შემთხვევაში, ეჭვი არაა, რომ "დორტმუნდი" ფარ-ხმალს მაშინვე დაყრის.

"დორტმუნდისა" და "კარლსრუეს" ამასწინანდელ მატჩს "იუვენტუსის" სკაუტი დაესწრო და ამ შეხვედრაში პეტრიჩმა ულამაზესი გოლი გაიტანა (საჯარიმო დარტყმით). არცაა გასაკვირი, რომ სკაუტმა თავის ტურინელ ბოსებს შეუთვალა, ეს ბიჭი ძალიან მაგარიაო. მლადენი მრავალმხრივი ფეხბურთელია და თავდასხმის გარდა თამაში როგორც ფლეიმეიქერის პოზიციაზე, ასევე ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე და ნახევრად მემარცხენე შუამარბის პოზიციაზეც შეუძლია. "იუვეს" შეფები მას 35 წლის **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრებენ. როგორც იცით, ჩეხს აქტიური სპორტული კარიერის დასრულება აქვს განზრახული.



მლადენ პეტრიჩი - იუვეს ბორუსიის ლიდერი პაველ ნედვედის შემცვლელად უნდა

*"არსებობს ორი-სამი გუნდი, რომელშიც თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ, მაგრამ ახლა გუნდის გამოცვლაზე არ ვფიქრობ, რადგან "ბორუსიაში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მინდა, რომ BVB-სთან ერთად, რაც შეიძლება მალე, ევროტურნირებზე ვიასპარეზო,"* - ეს სიტყვები პეტრიჩს ეკუთვნის, რომელსაც ვესტფალიურ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

რაკი "ბორუსია" გერმანიის თასის ფინალში გავიდა, სადაც "ბაიერნს" შეხვდება (ბავარიელებს კი ჩემპიონთა ლიგაში თამაში აქვთ განაღდებული), "დორტმუნდს" უეფას თასის საგზური, ფაქტობრივად, დაბევებული აქვთ. მაგრამ თუ "იუვენტუსი" იმ გუნდების სიაშია, რომელთა მაისურის მორგებაზეც პეტრიჩი ბავშვობიდან ოცნებობს, "ბებერი ქალბატონის" წინადადება უმალ სხვანაირად აალაპარაკებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ბეტისი

# რუის დე ლოპერას პატიმრობა ემუქრება

## ფინანსური პოლიცია კლუბის მფლობელს მაქინაციების გამო ეჭვმიტანილად აცხადებს

სევილიის ფინანსური პოლიციის რეგიონული ბიუროს გამომძიებელმა **სანდრო სანჩესმა** "ბეტისში" არსებული ფინანსური მდგომარეობის გამოძიება დაასრულა. ძიების შედეგი შემაშფოთებელია. საქმე, რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაეგზავნა. პროკურატურა ანდალუსიური კლუბის მფლობელის, **მანუელ რუის დე ლოპერას** წინასწარ პატიმრობაში აყვანას ითხოვდა, მაგრამ მოსამართლემ მას გირაოს თანხაც კი არ გადაახდევინა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამოძიება უშედეგოდ ჩაივლის. პირველ ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ფინანსური პოლიცია სენიორ ლოპერას გადასახადების დამალვაში, ფულის გათეთრებაში, კლუბის ფინანსების მითვისებასა და ტრანსფერებისას კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს. დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ პატივცემული მანუელ რუის დე ლოპერას მოღვაწეობის წყალობით "ბეტისი" გაკოტრების პირას მივიდა. ასეთი რამ ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიძლება მოხდეს, მაგრამ უცნაური ის არის, რომ "ბეტისის" გალატაკების პარალელურად რუის დე ლოპერას ქონება რამდენიმე ათეული მილიონი ევროთი გაიზარდა. გამოძიება დარწმუნებულია, რომ ბატონი მანუელი სწორედ ფულის გათეთრებითა და სხვა სახის ფინანსური მაქინაციებით გამდიდრდა.



მანუელ რუის დე ლოპერას საქმე ცუდადაა

მოსამართლე საქმის მასალებს გულდასმით გაეცნო. ბრალდებისა და დაცვის მხარის არგუმენტებიც მოისმინა და გადაწყვეტილება მიიღო. მისი მითითებით, "ბეტისის" ოფისში აუდიტორული შემოწმება ჩატარდება. ამის შემდეგ მოსამართლე მორიგ პროცესს დანიშნავს და საბოლოო ვერდიქტსაც გამოიტანს.

სკანდალურ ინფორმაციას "ბეტისის" გულშემატკივრები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ. ლოპერას ისინი აქამდეც ვერ იტანდნენ, მაგრამ ახლა სიძულვილი კიდევ უფრო გაღრმავდა. ღამით ინჩასებმა გუნდის მფლობელის სახლს ალყა შემოარტყეს და ფანჯრებს სალებავები დაუშინეს. პოლიცია არეულობის დაწყებიდან ხუთ წუთში გამოცხადდა, თუმცა აგრესიულად განწყობილმა ინჩასებმა მიმალვა მოასწრეს. მეორე დღეს მანუელ რუის დე ლოპერამ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ყველა ბრალდება უარყო. მისი თქმით, "ბეტისის" მტრებმა ფინანსური პოლიცია შეცდომაში შეიყვანეს. ლოპერას ეჭვი აქვს, რომ კლუბის ფინანსურ დეპარტამენტში მოღალატე მუშაობს და დოკუმენტებს აყალბებს. ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის ამ არგუმენტს, ფაქტობრივად, არავინ იზიარებს. საქმე ის არის, რომ ლოპერას ფინანსურ პოლიციასთან სხვა დროსაც ჰქონია პრობლემები. ის ბიზნესს რამდენიმე მიმართულებით აწარმოებს და ხაზი უნდა გაესვას, რომ მაკონტროლებლებს თითოეული კომპანიის შემოწმების შემდეგ ძალიან სერიოზული კითხვები უჩნდებოდათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონი ლოპერა სხვადასხვა სახის მაქინაციაში მრავალჯერ იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ მტკიცებულებების უკმარისობის გამო გისოსებს მიღმა არ აღმოჩენილა.

"ბეტისის" კიდევ ერთი თავსატეხი ესპანეთის ფეხბურთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტის მიერ მისჯილი დისკვალიფიკაციაა. შეგახსენებთ, 28-ე ტურში "ბილბაოსთან" შეხვედრისას ერთ-ერთმა გულშემატკივარმა სტუმართა მეკარეს თავში ბოთლი გაარტყა. მსაჯმა შეხვედრა შეწყვიტა. სევილიელებს კი, მოგვიანებით, წაგება ჩაუთვალეს. პროფესიულმა ლიგამ ესეც არ იკმარა და "ბეტისს" მომდევნო ტურში "ბარსას" "რუის დე ლოპერაზე" მასპინძლობა აუკრძალა. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, სამხრეთული კლუბის ხელმძღვანელობას გამოსავლის მოსანახად თითზე თითი არ დაუკარებია. ისინი ჯიუტად აცხადებენ, რომ კატალონიელებს მაინც მშობლიურ სტადიონზე უმასპინძლებენ, თუმცა გუშინ პროფესიული ლიგის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა სევილიელები მკაცრად გააფრთხილა, სჯობს, ალტერნატიული სტადიონი დროულად მონახოთ, თორემ კვლავ ტექნიკურ წაგებას ჩაგითვლითო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

შალკე

# პანდერი, სლომკას თილისმა

## როცა ის მოედანზეა, გელზენკირხენელები არასდროს აგებენ

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - 24 წლის მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი** "შალკეს" უმთავრესი თილისმაა. თავად განსაჯეთ: მიმდინარე სეზონში პანდერმა ბუნდესლიგაში 12 თამაში ჩატარა და როცა ის მოედანზე იყო, გელზენკირხენულ კლუბს ერთი თამაშიც კი არ წაუგია. სხვა მატჩებში კი ახალგაზრდა მცველმა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო არ ითამაშა, რომ ტრავმირებული გახლდათ - ისე კი, **მირკო სლომკას** გუნდის ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრია. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა კი იქითკენ გვიბიძგებს, რომ განვაცხადოთ: პანდერი "შალკეს" ბედია!

კრისტიანმა სეზონი კარგად დაიწყო - პირველ რვა თამაშში იასპარეზა და აღსანიშნავია, რომ რვა ტურის შემდეგ "შალკე" მეორე ადგილზე იყო. ზუსტად მერვე ტურში კი ტრავმა მიიღო, რასაც ხანგრძლივი იძულებითი პაუზა მოჰყვა. შედეგი: "შალკე" მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ამას გარდა, პანდერისა და "შალკეს" თანაბალანსი თითქმის იდეალურია: კრისტიანთან ერთად გელზენკირხენელები საშუალოდ მატჩში 2.17 ქულას აგროვებენ, მის გარეშე კი - 1.38-ს.



კრისტიან პანდერს გერმანიის ნაკრებში 2 მატჩი აქვს ჩატარებული (1 გოლი)

*"სტატისტიკის მოყვარული ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად არ ვიცოდი. მეტი რა მეთქმის, ბედნიერი ვარ! მაგრამ ცხადია, უკეთესი იქნებოდა, გუნდი ჩემ გარეშეც რომ ახერხებდეს ქულების დაგროვებას,"* - აცხადებს გაოცებული პანდერი, რომელსაც ვერ წარმოედგინა, გუნდისთვის მის თამაშს ასე დიდი მნიშვნელობა თუ ექნებოდა.

...და ის, რაც ზემოთ ვთქვით, ნამდვილად არ გახლავთ მშრალი სტატისტიკა და შემთხვევითობა. პანდერი ბუნდესლიგაში ფლანგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და დიდი ხანია, რაც გრანდებმა თვალი დაადგეს. თანაც, იდეალურად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს და საერთოდ, მის მიერ შესრულებული სტანდარტული დარტყმა მეტოქის კართან თითქმის ყოველთვის დიდ ხიფათს ქმნის. ფაქტია ისიც, რომ 8 მარტს, როცა კრისტიანი 4-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა, "შალკემ" ნავსი გატეხა, ბილეფელდის "არმინია" დაამარცხა და კრიზისიდან გამოვიდა. სწორედ ამ მატჩის შემდეგ შეწყდა დისკუსია იმის შესახებ, რომ სლომკას გათავისუფლების საფრთხე ემუქრებოდა. სამი თამაშია, რაც პანდერი დაბრუნდა და "შალკემ" სამივე მოიგო - ესეც დამთხვევაა? თანაც, კრისტიანი ამ სამი შეხვედრიდან სამივეში საგოლე კომბინაციებში მონაწილეობდა - "არმინიასთან" (2:0), "დუისბურგსა" (2:1) და "ჰერტასთან" (2:1).

ბილეფელდში შალკელებმა მეორე გოლი სწორედ მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ გაიტანეს; "დუისბურგთან" გამარჯვების გოლი პანდერის მიერ ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ გავიდა; ბერლინში კი, გელზენკირხენელთა ფორვარდმა **ჯერალდ ასამოამ** ანგარიში მას მერე გახსნა, რაც პანდერის ჩაწოდებას თავური დარტყმით გამოეხმაურა.

ასეთ ფორმაში მყოფი პანდერი, ცხადია, გერმანიის ნაკრების კანდიდატიცაა. თუმცა შვეიცარიასთან ამხანაგური თამაშისთვის, რომელიც გუშინ გაიმართა, ბუნდესგუნდის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** "შალკეს" თილისმას არ უხმო - ალბათ უფრო იმიტომ, რომ კრისტიანს ხანგრძლივი პაუზა ჰქონდა და მიიჩნია, რომ მისი ნაკრებში ხმობა ნაადრევი იქნებოდა. მაგრამ ახლა უკვე ცხადია, რომ თუ პანდერი ჯანმრთელად იქნება, ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების იდეალური შანსი აქვს. ზაფხულში მას, სავარაუდოდ, მიეცემა იმის შანსი, რომ გერმანიის ნაკრების თილისმის წოდებისთვისაც იბრძოლოს...

**გოტფრიდ ლენცი**

კალათბურთი. ევროთასის ოლ სტარი

# ეს ცინცაძეა, 22 წლის ქართველი



გიორგი ცინცაძე ოლ სტარის მატჩში

25 მარტს ქართულ კალათბურთში კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა - ქართველმა გამთამაშებელმა "ევროთასის" ვარსკვლავთა მატჩში მიიღო მონაწილეობა. კვიპროსის ქალაქ ლიმასოლში მეტად თვალსასეირო შოუ გაიმართა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შევიდეს ფიბაევროპის ოფიციალურ ვებგვერდზე www.fibaeurope.com და "ოლ სტარის" ჩანაწერი იხილოს. ჩვენ კი დავძენთ, რომ გარდა მატჩისა, საინტერესო იყო მუსიკალური ნომრები, საკალათბურთო აკრობატების გამოსვლები და კომენტატორთა რეპლიკები ქართველი გამთამაშებლის შესახებ.

გიორგის მოედანზე გამოსვლას საყურადღებო კომენტარი მოჰყვა: *"გიორგი ცინცაძე, მორიგი ახალგაზრდა "ოლ სტარში". იგი 22 წლისაა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა ამ მატჩში მონაწილეობა დაიმსახურა, მის გარეშე "ტარტუ როკი" ფინალურ ოთხეულს ვერ მიაღწევდა."*

უშუალოდ თამაშისას მან რამდენჯერმე გამოსტყუა გულშემატკივარს აპლოდისმენტები. პირველად ეფექტური პასისას, მეორედ ფარქვეშიდან ორქულიანის მშვიდად ჩაგდებისას, ხოლო მესამედ სამქულიანის რეალიზებისას - ცინცაძე მარჯვენა კუთხესთან მარტო დარჩა, კარგად მოემზადა და შორეული ტყორცნით ევროპის ნაკრების ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირა - 63:67.

მეორე ტაიმში გიორგი მოედანზე აღარ გამოჩენილა. ამას თავისი მიზეზები აქვს, რაზეც თავად კალათბურთელი ინტერვიუში გვესაუბრება. მანამდე კი გუშინ ნათქვამს გავიმეორებთ: გიორგი ცინცაძემ ევროთასის ვარსკვლავთა მატჩში 9 წუთი ითამაშა, 5 ქულა დააგროვა, 3 შედეგიანი გადაცემა გაიფორმა და ბურთი ერთხელ მოხსნა.

**შეხვედრის შემდეგ ქართველი გამთამაშებელი კვიპროსიდან ესტონეთში დაბრუნდა, მაგრამ მასთან დაკავშირება ლიმასოლში მოვახერხეთ.**

**- გიო, გილოცავ "ოლ სტარის" დაჭაშნიკებას.**

- გმადლობ, მიხარია, რომ საქართველოდანაც ვგრძნობ მხარდაჭერას.

**- ახლა შოუს ჩანაწერს ვუყურებ. კვიპროსელებს ყველაფერი კარგად მოუწყვიათ...**

- ეს ღონისძიება ისე ჩატარდა, როგორც "ოლ სტარს" შეჰფერის. მატჩიც საინტერესო იყო, მაგრამ თამაშზე მეტი დრო სხვადასხვა გასართობ ნომრებს დაეთმო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ნებისმიერი ვარსკვლავთა მატჩი, პირველ რიგში, შოუა, მაყურებელზეა გათვლილი. ქომაგისა რა ვთქვა და მეც კარგად გავერთე.

**- თამაშისას რამდენიმე ეფექტური პასი გააკეთე, მაგრამ პარტნიორებმა ვერ გაგიგეს.**

- ეს არცაა გასაკვირი. ევროპის ნაკრებში სხვადასხვა გუნდების წარმომადგენლები პირველად ვთამაშობდით ერთმანეთის გვერდით. სხვებთან ერთად მეც ვცდილობდი ხალხზე მეთამაშა. როგორ გამოვიდა, ეს მაყურებელმა უნდა შეაფასოს.

**- წაგებამ გული ხომ არ დაგწყვიტა?**

- ამ ტიპის მატჩები მხოლოდ გართობას ემსახურება. ყველა ფრთხილად თამაშობს, ტრავმებს ერიდება, შესაბამისად შედეგიც მეორე პლანზე იწევს.

**- მეორე ტაიმში არ გითამაშია. ამის მიზეზი მწვრთნელი ხომ არ იყო?**

- არა. შეხვედრისას ზურგის მცირე ტკივილი ვიგრძენი, თამაშისას მაწუხებდა და ამიტომ მწვრთნელმა მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამიყვანა.

**- ტრავმა სერიოზული ხომ არ არის?**

- ჯერ არ ვიცი. ესტონეთში რომ ჩავალ, იქაურ ექიმებს ვანახებ და საბოლოო პასუხს ისინი მეტყვიან. იმედია, სერიოზული არაფერია. ახლა "ტარტუ" ევროთასის ფინალური ოთხეულისთვის იწყებს მზადებას და მინდა, გუნდს სათანადოდ დავეხმარო.

**ვაჟა სიმონიშვილი**




კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ატლანტა დამრგვალდა

NBA-ში რეგულარული ჩემპიონატი აპრილის შუა რიცხვებში დასრულდება. აქედან გამომდინარე, ყველა გუნდს სხვადასხვა ამოცანა გააჩნია. ზოგიერთს პლეი ოფის საგზური განაღდებული აქვს, ზოგს ჯერაც ვერ გაურკვევია, გააღწევს თუ არა მომდევნო ეტაპზე. ამ უკანასკნელთა რიცხვს **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსი" მიეკუთვნება. მას რეგულარულის ბოლომდე 12 მატჩი დარჩა და თითოეულ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება უშუალო კონკურენტებთან გამარჯვებებს, რასაც "ატლანტა" ჯერ ვერ ახერხებს. ორი დღის წინ მან "ნიუ ჯერსი ნეთსთან" დათმო, ხოლო გუშინ ჩიკაგოში ადგილობრივ "ბულზთან" ვერაფერს გახდა - 94:103.

ჯორჯიელებმა პირველი, მეორე და მეოთხე პერიოდები დამაჯერებლად ჩაატარეს, მატჩი კი მესამე მეოთხედის ჩაგდების გამო წააგეს - 14:28. "ატლანტას" კალათბურთელებს ყველაზე მეტი ხიფათი შეუქმნა ზაზას ყოფილმა თანაკლუბელმა ("ორლანდოდან") **დრიუ გუდენმა**, რომელმაც 31 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიას უშუალო კონკურენტმა **ელ ჰორფორდმაც** იყოჩაღა მოხსნებში (13), მაგრამ შეტევაში არაფერი გამოუვიდა, 32 წუთში 3 ქულა ჩააგდო. შესაბამისად, სათამაშო დრო ოდნავ გაეზარდა ზაზა ფაჩულიას, რომელმაც მოედანზე 14 წუთი დაჰყო და თავი არ შეურცხვენია: 4-დან 2 ორქულიანი, 7-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და მატჩი 8 ქულითა და 5 მოხსნით დაასრულა. 14 წუთში მეტი რა უნდა ექნა? "ატლანტას" სნაიპერი კი **ჯოშ ჩილდრესი** გახდა - 22 ქულა.

ახლა სატურნირო მდგომარეობაზე. "ჰოქსს" ცხრილში მრგვალი რიცხვები უწერია - 30 მოგება, 40 წაგება. ამ მაჩვენებლით იგი აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-8 ადგილზეა. მეცხრეს, "ნიუ ჯერსის" 30 მოგება და 41 წაგება აქვს. არც მეათეადგილოსანი "ინდიანას" ჩამოწერა შეიძლება - მას 29 მოგება და 42 წაგება უწერია. პლეი ოფის მერვე საგზურისთვის ბრძოლა სწორედ ამ სამეულს შორის გაჩაღდება. რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ვინ შეხვდება მერვე ადგილზე, ამას აპრილის შუაში გავიგებთ. წინასწარ ერთსაც დავძენთ, არც "ატლანტას", არც "ჯერსის" და არც "ინდიანას" პლეი ოფის პირველივე ეტაპზე კარგი ბედი არ ელით, მათი მეტოქე კონფერენციის პირველადგილოსანი, **კევინ გარნეტის** "ბოსტონ სელტიქსი" იქნება.

ბოლოს გთავაზობთ "ჰოქსის" დარჩენილი მატჩების კალენდარს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| |
|---|
| **დღეს, გამთენიისას** |
| ატლანტა-მილუოკი |
| **28 მარტი** |
| ატლანტა-ჩიკაგო |
| **30 მარტი** |
| ატლანტა-ნიუ იორკი |
| **31 მარტი** |
| მემფისი-ატლანტა |
| **2 აპრილი** |
| ატლანტა-ტორონტო |
| **4 აპრილი** |
| ატლანტა-ფილადელფია |
| **5 აპრილი** |
| ფილადელფია-ატლანტა |
| **8 აპრილი** |
| ინდიანა-ატლანტა |
| **11 აპრილი** |
| ნიუ იორკი-ატლანტა |
| **12 აპრილი** |
| ატლანტა-ბოსტონი |
| **15 აპრილი** |
| ატლანტა-ორლანდო |
| **16 აპრილი** |
| მაიამი-ატლანტა |



ზაზა ფაჩულია ჩიკაგოსთან მატჩში

კალათბურთი. ლეგიონერი

# მარკოიშვილი მაჰორიჩმა არ აიყვანა

უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე დასრულდა 4-5 აპრილს, დონეცკში გასამართი "ოლ სტარის" გამოკითხვა. უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე ყველა ვარსკვლავთა მატჩში მოხვედრის კანდიდატებს შორის იმყოფებოდა "კიევის" ქართველი ლეგიონერი **მანუჩარ მარკოიშვილიც**.

სამწუხაროდ, გულშემატკივრებმა შემტევ მცველებს შორის, "მანუს" მხოლოდ მეორე ადგილი მიაკუთვნეს, რაც ლეგიონერთა სასტარტო ხუთეულში მოხვედრისთვის საკმარისი არ იყო. ამდენად, მხოლოდ იმის იმედი გვრჩებოდა, რომ ლეგიონერების მწვრთნელი **ტომო მაჰორიჩი** ჩვენებურს სათადარიგო მოთამაშედ აიყვანდა. მით უმეტეს, რომ მაჰორიჩი "კიევის" მწვრთნელია. თუმცაღა, მან მარკოიშვილი გუნდში არ შეიყვანა.

მიუხედავად ამისა მანუჩარი მაინც მიიღებს "ოლ სტარში" მონაწილეობას. საქმე ის არის, რომ იგი სამქულიანების კონკურსში იასპარეზებს. ქართველის გარდა, სამქულიანებს ისვრიან კრივიჩი (სუმიხიმპრომი), გლადირი (მიკოლაევი), დელინინკაიტისი, მეშჩერიაკოვი (აზოვმაში) და რევზინი (ჩერკასკი მავპი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ქალებმა გზა გაირთულეს




მსოფლიო ტურის წლევანდელი გათამაშება ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში დაიწყო. თითქმის ყველა ეტაპს ქართული წყვილებისთვის ოქროს ფასი აქვს, ვინაიდან პეკინის ოლიმპიადის საგზურებისთვის ბრძოლის ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ვაჟებს შორის **გეორ-გია** სალიცენზიო რეიტინგში მე-14 ადგილზეა და თუ რამე სასწაული არ მოხდა, პეკინის საგზური უნდა ერგოს. ჩინეთის დედაქალაქში რეიტინგით 24 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს.

უფრო რთულად აქვთ მდგომარეობა ქალებს. **საქა-რთველო** 25-ე ადგილზეა და ჯერ მთავარი ბრძოლები კიდევ წინ აქვს. ადელაიდის ეტაპზე ნაჩვენებმა შედეგმა მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ჩვენი ფრენბურთელები საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე შეხვედრაში მასპინძელთა წყვილთან როკამპერთან და ფროსტიკთან დამარცხნენ მოულოდნელად - 14:21, 19:21. ავსტრალიელები 27-ე ნომრად იყვნენ განთესილნი კვალიფიკაციაში, მაშინ, როცა საქა-რთველო მე-6 ნომერი იყო და ფავორიტად ითვლერბოდა.

ქალებისგან განსხვავებით, პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდა გეორგია. ჩვენი წყვილის პირველი მეტოქე მათთვის კარგად ნაცნობი ჰოლანდიური წყვილი **ბორესმა-რონესი** იქნება. ჰოლანდიელები მე-17 ნომრები არიან, ჩვენები - მე-16.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ძიუდო

# ორი ოქრო უკრაინიდან

ამ უქმეებზე დნეპროპეტროვსკში გაიმართა ი. პრიშჩეპის XX მემორიალი 1992-94 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც უკრაინის სხვადასხვა ქალაქებისა და საქართველოს 150-მდე ნორჩი ფალავანი ჭიდაობდა. ჩვენი მოზარდები საკმაო წარმატებით გამოვიდნენ და 5 მედალი - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. მათ განსაკუთრებულ წარმატებას 55-ში მიაღწიეს, სადაც ფინალში ორი ჩვენებური გავიდა - **ივანე გოგიაშვილმა ივანე გიგანი** დაამარცხა და ჩემპიონიც გახდა. მეორე ოქრო **ნიკა გოგინაშვილმა** (66) მოიპოვა, მესამემდე კი მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება დაგვაკლდა - **ამირან მაჭავარიანმა** (+90) ფინალური ორთაბრძოლა ხარკოველ ივან ანტონენკოსთან დათმო. ბრინჯაოს **ომარ ნიაზაშვილი** (46) დაეუფლა. სხვათა შორის, აქ ჩემპიონიც ქართველი გახდა - ნიკო საჯაია, მაგრამ ის მასპინძელთა გუნდს წარმოადგენდა.

**ირაკლი თავაძე**

ბიათლონი

# მშვილდისრით შაშხანის ნაცვლად



გიორგი გოგოლაძე

აჩერი ბიათლონი ჩვეულებრივი ბიათლონისგან იმით განსხვავდება, რომ სპორტსმენები შაშხანის ნაცვლად მშვილდისრით ასპარეზობენ. ამ ახალ სახეობაში უკვე მეორედ ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც ისევე, როგორც შარშან, საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ჩემპიონატი რუსეთის ქალაქ ხიმკში გაიმართა. საქართველოს ბიათლეტმა **გიორგი გოგოლაძემ** 7,5 კმ-ზე სპრინტში იასპარეზა და XII ადგილზე გავიდა, 10 კმ-ზე კი X იყო. ჩვენ გუნდს ხელმძღვანელობდა მთავარი მწვრთნელი, ბიათლონის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ბუძიშვილი.**

*"თანდათან ვეუფლებით აჩერი ბიათლონს და დიდ შეჯიბრებებში გამოცდილებას ვიძენთ. მადლობა სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ გოგი თოფაძეს და ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორს ბატონ გიგი თევზაძეს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის"* - უთხრა "ლელოს" კორესპონდენტს ა. ბუძიშვილმა.

ხელბურთი. 16-წლამდელთა ჩემპიონატი

# სამტრედიამ ოზურგეთში გაინაღდა



**ოზურგეთში** დაიწყო 16-წლამდელ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი მეხუთე ტური. აქ სპორტის სასახლე შარშან შემოდგომით გაიხსნა. თუმცა, პირველ ოფიციალურ შეჯიბრებას მხოლოდ ახლა უმასპინძლა და ამ მხრივ, ხელბურთი ამ შესანიშნავი ნაგებობის ისტორიაში შევა.

ახალთახალი შენობა, თანამედროვე სტანდარტების სარბიელი ხელბურთის, ფრენბურთის, მინი-ფეხბურთისა და ფრენბურთისთვის; ტრიბუნები, ქანდარები, ლოჟები, გასახელები, საშხაპეები, ბუფეტი და იდეალური სისუფთავე - ასეთ მდგომარეობაში შეეგება ოზურგეთის სპორტის სასახლე ხელბურთელებს.



ოზურგეთში ტურნირი და დარბაზი საზეიმოდ გახსნეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა**, გურიის გუბერნატორმა **რამაზ ნიკოლაიშვილმა და** ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ თევზაძემ.** გუბერნატორმა აქვე გამოაცხადა, რომ ქალაქში უკვე ამ თვეში, მუშაობას დაიწყებს სახელბურთო ჯგუფი. გახსნის ცერემონიალზე მონაწილე გუნდებს გადაეცათ ევროპის ხელბურთის ფედერაციის გრანტით გამოყოფილი "ადიდასის" ბურთები.

რაც შეეხება უშუალოდ 16-წლამდელ ხელბურთელთა ჩემპიონატის თამაშებს, აქ ჩემპიონის ვინაობა პირველ ტურშივე გაირკვა. "სამტრედიამ" 32:24 მოუგო "ყვარელს", 36 ქულა მოაგროვა და მეორეადგილოსან "რუსთავთან" რვაქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. რაკილა დარჩენილ 3 ტურში რუსთაველები იმერელთა დაწევას ველარანაირად ვერ მოახერხებენ, "სამტრედიამ" ვადამდე გაინაღდა ჩემპიონობა, რაც ამ გუნდისთვის პირველი ტიტულია. იმერლები ბოლო ტურამდე უდანაკარგოდ მოვიდნენ და აბსოლუტურად დამსახურებულად გაჩემპიონდნენ.

"რუსთავმა" კი გამოკვეთილ აუტსაიდერ "ბათუმთან" ბეწვის ხიდზე იარა. პირველ ტაიმში 8-ბურთიანი სხვაობით ჩამორჩენის შემდეგ, ბოლო 30 წუთში აჭარლებმა თავი გამოიდეს და საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე, ანგარიში გაათანაბრეს. თუმცა, 2 წამით ადრე პენალტი აიკიდეს, რომელიც რუსთაველებმა გოლად აქციეს და 24:23 იმარჯვეს. მათ შემდეგ კი მოედანზე "სამტრედია" გავიდა და ქვემო ქართლელებს ოქროს მედლების ისედაც მიზერული შანსი მთლად მოუსპო...

დაძაბული პირველი ტაიმის შემდეგ, წლეულს აშკარა კრიზისში მყოფი "ქუთაისი" 29:21 დაამარცხა "გორმა", ხოლო რუსთაველებივით უდარბაზო, მაგრამ მეოთხეადგილოსანმა ფოთელებმა დედაქალაქური "ქარიშხალა" დაჯაბნეს - 23:18.

გუშინდელი შედეგები ასეთია: **ფოთი-რუსთავი 27:15, ბათუმი-თბილისი 17:25, სამტრედია-გორი 32:25, ქუთაისი-ყვარელი 31:25. 28 მარტს ჩემპიონატი დასრულდება და გაიმართება გამარჯვებულთა დაჯილდოება.**

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ სახელმწიფო წლეულსაც აპირებს შარშანდელი პროექტის გაგრძელებას და წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ქალაქში გაიხსნება ასეთი სპორტკომპლექსი. რაღა თქმა უნდა, ეს უდავოდ საშვილიშვილო საქმეა, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, წლევანდელ პროექტში ვერ ხვდება რუსთავი, რაც სამწუხარო ამბად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, რომ რუსთავი დიდი ქალაქია, რომელშიც სპორტული ცხოვრება საჩინოდ არ დუღს და სპორტკომპლექსი ნამდვილად სჭირდება. მეორეც, ხელბურთის მაგალითი ავიღოთ. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, 16-წლამდელებში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ადგილზე მყოფ რუსთაველებს ელემენტარულად, 1 ხელბურთურთის დარბაზიც კი არ აქვთ, რომელიც სტანდარტებთან მიახლოებული იქნება. ვიმედოვნებთ, რუსთავს გაისად მაინც ექნება სპორტკომპლექსი. სამაგიეროდ, წლის ბოლოს, ახალი სპორტის სასახლე გადაეცემათ მესამეადგილოსან გორელებს...

და ბოლოს: სახელბურთო ღონისძიებებს ესწრებოდა რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გია ნიჟარაძე**. საქმე ის არის, რომ რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ნიჟარაძემ და ნამგალაურმა დილით დაათვალიერეს ფოთის სტადიონები, სადაც სარაგბო მოედნის მოწყობა იგეგმება, მერე კი გურიაში გადმოინაცვლეს იგივე მიზნით და გურიის გუბერნატორთან და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ერთად დაათვალიერეს სტადიონები.

**კობა ხატისაშვილი**
**ოზურგეთი-თბილისი**

ჭიდაობა, ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# სამი ნაკრები ერთ დარბაზში

**გუშინ** ბორჯომს, "ოლიმპის" სპორტკომპლექსს დასკვნითი შეკრების გასავლელად ძიუდოისტებმაც მიაშურეს. შეგახსენებთ, რომ "თავისუფლები" და "ანტიკოსები" უკვე იქ არიან და სამივე ნაკრები ევროპის პირველობებისთვის ბოლო შეკრებას გადის. ძიუდოისტთა ევროპირველობას 11-13 აპრილს ლისაბონი უმასპინძლებს, იმ მოჭიდავეების ანალოგიური ტურნირი კი 1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში ჩატარდება.


სამივე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ბორჯომში ემზადება

იმის მიუხედავად, რომ სპორტკომპლექსი "ოლიმპი" საქართველოში ერთადერთი საგანგებოდ მოჭიდავეთათვის აგებული გადაცემული კომპლექსია (რამდენიმე ანალოგიური ობიექტი ქვეყნის მასშტაბით კი ააშენეს, მაგრამ, მიზეზთა გამო, ისინი ფალავანთათვის ჯერ ასეთ მშობლიურ კერებად ვერ იქცნენ) თავისი სასტუმროთი, სავარჯიშო დარბაზით, სასადილოთი თუ სხვა სახის დამხმარე ნაგებობებით, სამი ნაკრებისთვის მაინც მეტად მცირეა. თუმცა, სპორტსმენებისთვის ერთადერთი შეღავათი ისაა, რომ ხვალ "თავისუფლები" უკვე ამთავრებენ შეკრებას. ისინი ერთი დღით სახლებს დაუბრუნდებიან (თუმცა ეს დროც ბარგის ჩასალაგებლადაა განკუთვნილი და არა დასასვენებლად) და 30-ში ფინეთში მიფრინავენ. კონტინენტის პირველობა სწორედ მათი ჭიდაობით იხსნება, რასაც ქალთა ორდღიანი ტურნირი მოსდევს, 5-6 აპრილს კი იქაური ხალიჩა "ანტიკოსებს" დაეთმობათ. ისინი ფინეთში 3-ში მიფრინავენ, თუმცა ბორჯომიდან წინა დღეს წამოვლენ. აი, ამის შემდეგ უკვე ძიუდოისტებიც ამოისუნთქავენ და თავისუფლად ივარჯიშებენ.

ტრადიციულად, **შოთა ხაბარელმა** ბორჯომში 35-მდე სპორტსმენი წაიყვანა. მათ შორის, ნაკრების ყველა ლიდერი, რადგან ჩვენები ევროპაზეც უძლიერესი გუნდით იასპარეზებენ და, ცხადია, ბოლო შეკრებას არავინ დააკლდება. საბედნიეროდ, ჯერ იღბალი ნამდვილად ამათ მხარესაა და სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს. ერთი ეგაა, წინა შეკრებაზე მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** იტკინა ფეხი, თუმცა ტრავმა არც იმდენად სერიოზულია, მანამ ვერ გამოჯანმრთელდეს ან სათანადოდ ვერ ივარჯიშოს. ცოტა **დავით ქევხიშვილის** პრობლემაც დგას, რომელსაც შინაგანი ორგანოები მუდმივად აწუხებს, რის გამოც წონას ვერ იკლებს. ამის გამო აქამდე საგანგებო გრაფიკით ემზადებოდა, მაგრამ ახლა წონა აუცილებლად უნდა დაიკლოს. საბედნიეროდ, სხვებს არაფერი აწუხებთ და, იმედია, ბოლო შეკრებასაც ასე უხიფათოდ ჩაამთავრებენ. რაც შეეხება "თავისუფალთა" და "ანტიკოსთა" გუნდებში არსებულ მდგომარეობას, ამაზე ვრცლად ხვალ მოგითხრობთ, როცა მასალას უშუალოდ ბორჯომიდან შემოგთავაზებთ.

აქვე სამივე ნაკრების საევროპო შემადგენლობასაც შეგახსენებთ. დავიწყოთ "თავისუფლებით", რომლებიც პირველები იწყებენ და რომლებიც ფონს გასვლას ძველებით ეცდებიან: **ბესარიონ გოჩაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **გელა სალირაშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120). აქ ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** მცირე ტრავმების გამო მხოლოდ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ბრინჯაოს პრიზიორ **ოთარ თუშიშვილს** (66) ასვენებს, სხვების ჭიდაობა კი სავალდებულოც კია, ვინაიდან თუშიშვილისა და სალირაშვილის გარდა, სხვებს ჯერ ლიცენზიებიც არ მოუპოვებიათ. ცნობისათვის - პეკინის ოლიმპიადის თითო საგზური ტამპერეშიც გაიცემა, ოღონდ რა მექანიზმით, ჯერ ზუსტად ვერავინ გვიხსნის.

"ანტიკოსთა" ნაკრებში საქართველოს ღირსებას **ირაკლი ჭოჭუა** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **მუხრან მაჭუტაძე** (66), **შმაგი გულიაშვილი** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) დაიცავენ. აქ ბეგი დარჩიამ ორი ლიდერი დაასვენა - **დავით ბედინაძე** (60) და **მანუჩარ კვირკველია** (74).

როგორც გითხარით, ძიუდოისტთა ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს პორტუგალიაში უძლიერესი გუნდი მიჰყავს: **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟებში

# ფინალი: ფანცულაია-მარგველაშვილი

| ნახევარფინალი | |
|---|---|
| ლევან ფანცულაია (2629) - კონსტანტინე შანავა (2521) | 2:0 |
| გიორგი მარგველაშვილი (2455) - მიხეილ მჭედლიშვილი (2635) | 1.5:0.5 |

დღეს, დებულების თანახმად, ნახევარფინალის ტაი-ბრეიკები უნდა გამართულიყო, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუკი ამის საჭიროება დადგებოდა. ეს კი მაშინ ხდება, როცა ორ კლასიკურ პარტიაში მეტოქეები უძლიერესს ვერ გამოავლენენ. ნახევარფინალამდე ყოველ ტურში გათამაშდა ტაი-ბრეიკი და მართალია, შანსი მცირე იყო (ორი წყვილი თამაშობდა), მაგრამ გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლებოდა.

პირველ პარტიაში **ლევან ფანცულაიამ** თეთრებით **კონსტანტინე შანავა** დაამარცხა, **გიორგი მარგველაშვილმა** კი **მიხეილ მჭედლიშვილს** მოუგო.

შანავა-ფანცულაიას დაპირისპირება კვლავ ძალზედ საინტერესოდ წარიმართა და დიდხანს გაგრძელდა, ამიტომ ჯერ მჭედლიშვილ-მარგველაშვილის პარტიაზე მოგახსენებთ. თუმცა სალაპარაკო ბევრიც არაფერია: მარგველაშვილმა შესანიშნავად დაიცვა თავი და ყაიმს სულ ორიოდ საათში მიაღწია. გუშინდელ წერილში კი ვამბობდით, მჭედლიშვილის დარად გიორგისაც კარგი სადებიუტო მომზადება აქვს და თავდაცვა კარგად ეხერხება-თქო, მაგრამ თუ ასე უპრობლემოდ გაართმევდა თავს ამოცანას, ნამდვილად არ გვეგონა. როგორც ჩანს, მარგველაშვილი ოსტატობის ახალ საფეხურზე ავიდა და თუკი სერიოზულად მიყვება ამ საქმეს, უფრო მაღლაც ავა. მისი ფინალში თამაში ნამდვილად სენსაციად მონათლა. გიორგის ვულოცავთ ფინალისტობას, მაგრამ შესაძლოა, ხვალვე კიდევ ერთი მისალოცი ამბავიც მოხდეს. საქმე ისაა, რომ თუკი ფინალური მატჩის პირველ პარტიაში ყაიმით ითამაშებს, დიდოსტატის ნორმატივისთვის სამყოფ ქულათა მარაგს დააგროვებს და შესაბამისად, უახლოეს მომავალში დიდოსტატის ნორმასაც შეასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ფინალური დაპირისპირება ოთხი პარტიისგან შედგება, გიორგის მეტი შანსი არ მიეცემა. აქ "დამნაშავე" ნოკაუტ სისტემაა, სადაც წოდებებისთვის საკმარისი ქულების დაგროვება რთული გამოთვლებით დგინდება. სიმართლე ითქვას, ერთგვარ მათემატიკურ ჯუნგლების შექმნაში ფიდესაც უდევს დიდი წილი - ერთ მოჭადრაკესთან ორჯერ შეხვედრა ერთად ითვლება, რაც უპირველესი დამაბრკოლებელი ნიუანსია. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის რეიტინგ-ოფიცერი ვარლამ ვეფხვიშვილი ამ საქმის დიდოსტატია და იმედია, რომ ყველაფერს ზუსტად დათვლის.

შანავა-ფანცულაიას დაპირისპირებაზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ კონსტანტინემ ყველაფერი იღონა მოსაგებად. ოდნავ უკეთესი პოზიციაც მიიღო დებიუტში და ცდილობდა, მეტისთვის მიეღწია. შუა თამაშში თითქოს გამოიკვეთა საინტერესო გზები, მაგრამ ლევანი კბილებით იცავდა თავს და მეტოქეს არაფერს ანებებდა. შანავამ მანევრირება სცადა და თითქოს პაიკიც შესთავაზა მოწინააღმდეგეს. ლევანი ჩაფიქრდა და შეწირვა არ მიიღო; როგორც აღმოჩნდა, სწორედაც მოიქცა, - შანავამ სარგებელი ვერც ამ შემთხვევაში ნახა და რახან მოგება ჰაერივით სჭირდებოდა, კიდევ უფრო გაამწვავა პოზიცია. აქ კი კონტრშანსები შავებს აღმოაჩნდათ: ფანცულაიამ ეგრევე აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და როგორც წინა დღით, ამჯერადაც მოუგერიებელი შეტევა წამოიწყო, რისი ბოლოც გარდაუვალი შამათი უნდა გამხდარიყო. კონსტანტინეს ძალიან კი გაუჭირდა მარცხთან შეგუება, რაც სრულიად ბუნებრივია, ბევრიც იფიქრა, ვიდრე საათს გააჩერებდა, მაგრამ გამოსავალი ვერ იპოვა და ღირსეულად მიულოცა მეტოქეს გამარჯვება.


ფოტო პირველი ეტაპიდან. მარცხნივ ზის ლევან ფანცულაია, მარჯვნივ დგას გიორგი მარგველაშვილი

მაშ ასე: ფინალში ლევან ფანცულაია და გიორგი მარგველაშვილი შეხვდებიან ერთმანეთს. პარალელურად მესამე ადგილისთვის მიხეილ მჭედლიშვილი და კონსტანტინე შანავა ითამაშებენ. ორივე წყვილი ოთხ პარტიაში გაარკვევს უძლიერესს. ყაიმის შემთხვევაში ტაი-ბრეიკების წესი შევა მოქმედებაში: ორი 25-წუთიანი პარტია, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით; თუ აქაც ფრე დაფიქსირდა, მაშინ დაინიშნება ორი 5-წუთიანი პარტია, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით; ბოლო შანსი კი, სათავისოდ დაასრულოს მოჭადრაკემ მატჩი, "არმაგედონია", სადაც თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე გამოცხადდება.

აქვე დავამატებთ, რომ ჩემპიონი საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდება, პრიზად 3000 ლარს მიიღებს და სრულად დაფინანსდება აპრილში ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში გასამართ ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე. ამავე პრივილეგიას მიიღებს მეორეადგილოსანიც, თუმცა, ცხადია, ნაკლებ ფულად ჯილდოს უნდა დაჯაბულდეს - 2500 ლარს. მესამე ადგილიც სრულად ფინანსდება ევროპის ჩემპიონატზე, ფულად ჯილდოდ კი 2000 ლარს მიიღებს. დაუსაჩუქრებელი მეოთხე ადგილზე გასულიც არ დარჩება, თუმცა მას მხოლოდ 1500 ლარი ერგება.

შედეგებიდან გამომდინარე, დღეს მოჭადრაკეებს დასვენების დღე გამოუვიდათ. საფინალო ორთაბრძოლებს კი ხვალიდან, დღის 12 საათიდან დაიწყებენ.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი. ინტერვიუ პაატა ნარიმანაშვილთან

# რაც მთავარია, ელიტაში დავრჩით

**საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნდა. გუნდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და ელიტარულ A ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა, თუმცა, ხელმისაწვდომი მე-5 ადგილის დაკავება ვერ შეძლო. იტალიაში გამართული ტურნირის შესახებ გუნდის მწვრთნელს, პაატა ნარიმანაშვილს ვესაუბრეთ.**



**- პირველი შეხვედრა ტურნირის ფავორიტ ინგლისის ნაკრებთან გქონდათ და ძალიან დიდი ანგარიშით წააგეთ. რა არის ამის მიზეზი?**

- ყველაზე თვალშისაცემი ჩვენი მორაგბეების გამოუცდელობა იყო. ინგლისელებისგან ისეთ უხეშ აგრესიას, როგორიც მათ გამოიჩინეს, ნამდვილად არ ელოდნენ. იგინებოდნენ, შესაძლებლობას არ უშვებდნენ, ეუხეშათ. სხვა მხრივაც, ცხადია, ყველაფერში გვჯობნიდნენ. ვიდექით და ვუყურებდით რა კარგად თამაშობდნენ ინგლისელები. თუმცა, როცა ჩვენ გვქონდა ხოლმე ბურთი, უპირატესობის შექმნას ჩვენც ვახერხებდით. ინგლისელთა მწვრთნელმაც აღნიშნა თამაშის მერე, რომ გუნდი ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. იყო მომენტები, როცა მოლსა და რაკში თამაშისას ვჯობნიდით.

**- თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში 32:3 იყო, საბოლოო შედეგი კი 53:3 დაფიქსირდა. რა მოუვიდა გუნდს ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში?**

- ბევრმა მოთამაშემ ტრავმები მიიღო. იმ დროისთვის ყველა მორაგბე გამოცვლილი გვყავდა. ისე მოხდა, რომ ერთი მორაგბე ისევ უკან დაგვაბრუნებინეს, რათა ტრავმირებული შეგვეცვალა. ფეხითაც ცუდად ვითამაშეთ. თამაში აშკარად არ წაგვივიდა.

**- სატურნირო თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე მატჩი იყო რუსეთთან...**

- რუსეთთან ისეთივე სათამაშო უპირატესობა გვქონდა, როგორიც ინგლისელებს ჩვენთან. რუსებს ყველაფერში ვაჯობეთ: სისწრაფეში, ტექნიკით, ფიზიკური მომზადებით. ბრწყინვალედ ვითამაშეთ დაცვაში. პირველი თამაშის შემდეგ რუსეთთან და რუმინეთთანაც ლელო არ გაგვიშვია. ბიჭებმა რომ იგრძნეს, მეტოქეს იოლად ერეოდნენ, ყველამ ლელოს გატანა მოინდომა, რამაც ცოტა დაგვაზარალა, თორემ სხვაობა ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო.

**- რა მოხდა რუმინეთთან? თამაშის მიწურულს დათმეთ შეხვედრა.**

- რუმინელებთან პირველ ნახევარში ისეთივე უპირატესობა გვქონდა, როგორიც რუსებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოვახერხეთ. ერთხელ მოლით შევათრიეთ ლელოში, მაგრამ მსაჯმა არ ჩაგვითვალა, ვერ დავინახეო. ყველაფერში ვაჯობეთ, შერკინებაში, დერეფანში. ისინიც, ინგლისელების მსგავსად, ზედმეტად უხეშობდნენ.

მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, ერთ-ერთი რუმინელი გამოექანა და ნახტომში თავი შუბლში ჩაარტყა ჩვენ კვაჭს მიხეილ ნარიაშვილს. ათი ნაკერის დადება დასჭირდა. სათადარიგო კვაჭი ტრავმირებული გვყავდა. ამიტომ რამდენიმე დერეფანი წავაგეთ. რუმინელები, როგორც სჩვევიათ, ყველაფერს კადრულობნენ, რომ ჩვენები მწყობრიდან გამოეყვანათ. საჯარიმოებიც იმიტომ მივიღეთ, რომ მათ პროვოკაციებზე ხელს ვუბრუნებდით. თამაშის დასაწყისშივე შუამარბი ზურაბ გოგლიჩიძე წითელი ბარათით გაგვიგდეს, ხუთ წუთში კიდევ ერთი კაცი გაუშვეს სინბინში. ხუთი წუთით ცამეტნი დავრჩით, მთელი მეორე ტაიმი კი თოთხმეტნი ვიყავით. ამასთან, სამი საჯარიმოც ვერ გავიტანეთ.

**- მთლიანობაში, როგორ შეაფასებდით გუნდის თამაშს, მის პერსპექტივას?**

- ტურნირის მერე ბიჭებს ვუთხარი, რომ ყველაფერი თავიდან დაგვეწყო, გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა. პირველ თამაშში ინგლისთან ნაკრებს ხასიათი არ ჰქონდა. მეორეში რუსეთთან ჩვენი ხასიათით მოვიგეთ, მესამეში კი რუმინეთთან ჩვენივე ხასიათის გამო წავაგეთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ქართული ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 76 წლისა გარდაიცვალა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის III ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი

გიორგი სხირტლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩოგბურთი. მაიამის მასტერსი




### პირველი ნახევარი

| 1-ლი წრე | მე-2 წრე |
|---|---|
| ანენი (ბელ, 1) | ანენი (ბელ, 1) |
| კერბერი (გერ) – ამანმურადოვა (უზბ) | |
| მორიგამი (იაპ) – ერანი (იტა) | |
| კირილენკო (რუს, 26) | კირილენკო (რუს, 26) |
| რაზანო (საფ, 23) | რაზანო (საფ, 23) |
| კვალიფიკაცია – პარკლროუდი (აშშ) | |
| ვესნინა (რუს) – ლიხოვცევა (რუს) | |
| შავაი (უნგ, 15) | შავაი (უნგ, 15) |
| შნიდერი (შვეიც, 11) | შნიდერი (შვეიც, 11) |
| შონესი (აშშ) – კვალიფიკაცია | |
| კვალიფიკაცია – კანეპი (ესტ) | |
| ა. ბონდარენკო (უკრ, 21) | ა. ბონდარენკო (უკრ, 21) |
| პენეტა (იტა, 27) | პენეტა (იტა, 27) |
| დელაკუა (ავსტრა) – კვალიფიკაცია | |
| ზაკოპალოვა (ჩეხ) – გალოვიტცი (რუმ) | |
| ს. უილიამსი (აშშ, 8) | ს. უილიამსი (აშშ, 8) |
| კუზნეცოვა (რუს, 3) | კუზნეცოვა (რუს, 3) |
| ჩანი (ტაივ) – ოლარუ (რუმ) | |
| პერებიინისი (უკრ) – დულკო (არგ) | |
| აზარენკა (ბლრ, 25) | აზარენკა (ბლრ, 25) |
| ა. რადვანსკა (პოლ, 17) | ა. რადვანსკა (პოლ, 17) |
| მაკაროვა (რუს) – ლარშერდ ბრიტო (პორ) | |
| კვალიფიკაცია – დეში (საფ) | |
| პეერი (ისრ, 16) | პეერი (ისრ, 16) |
| ბარტოლი (საფ, 9) | ბარტოლი (საფ, 9) |
| პირონკოვა (ბულ) – ვოზნიაჩკი (დან) | |
| კვალიფიკაცია – მეისბურგერი (ავსტრია) | |
| სრებოტნიკი (სლოვე, 22) | სრებოტნიკი (სლოვე, 22) |
| კრაიჩეკი (პოლ, 30) | კრაიჩეკი (პოლ, 30) |
| მიულერი (გერ) – ერაკოვიჩი (ახ. ზელ) | |
| კრეიბასი (აშშ) – დომახოვსკა (პოლ) | |
| ვ. უილიამსი (აშშ, 6) | ვ. უილიამსი (აშშ, 6) |

### მეორე ნახევარი

| 1-ლი წრე | მე-2 წრე |
|---|---|
| ჩაკვეტაძე (რუს, 5) | ჩაკვეტაძე (რუს, 5) |
| კორნე (საფ) – პაჩეკი (ავსტრია) | |
| ვანდევეგე (აშშ) – ლისიცკი (გერ) | |
| მირზა (ინდ, 29) | მირზა (ინდ, 29) |
| სკიავონე (იტა, 20) | სკიავონე (იტა, 20) |
| ჟი იანი (ჩინ) – ციბულკოვა (სლოვაკ) | |
| კ. ბონდარენკო (უკრ) – პარმენტიე (საფ) | |
| დემენტიევა (რუს, 10) | დემენტიევა (რუს, 10) |
| პეტროვა (რუს, 14) | პეტროვა (რუს, 14) |
| ჟი ჟენგი (ჩინ) – კვალიფიკაცია | |
| პენგი (ჩინ) – დანიილიდუ (საბ) | |
| მორესმო (საფ, 24) | მორესმო (საფ, 24) |
| კნაპი (იტა, 31) | კნაპი (იტა, 31) |
| საფაროვა (ჩეხ) – კირსტეა (რუმ) | |
| არვიდსონი (შვედ) – კვალიფიკაცია | |
| იანკოვიჩი (სერ, 4) | იანკოვიჩი (სერ, 4) |
| პანტუხოვა (სლოვა, 7) | პანტუხოვა (სლოვა, 7) |
| სეკერა (ვენ) – შვედოვა (რუს) | |
| პივოვაროვა (რუს) – სუგიამა (იაპ) | |
| მ-გარიგესი (ესპ, 28) | მ-გარიგესი (ესპ, 28) |
| ზვონარევა (რუს, 19) | ზვონარევა (რუს, 19) |
| დუბუა (კან) – კვალიფიკაცია | |
| გოვორცოვა (ბლრ) – კვალიფიკაცია | |
| ვაიდიშოვა (ჩეხ, 12) | ვაიდიშოვა (ჩეხ, 12) |
| საფინა (რუს, 13) | საფინა (რუს, 13) |
| კვალიფიკაცია – რეზაი (საფ) | |
| ოდენი (აშშ) – გარბინი (იტა) | |
| ბამერი (ავსტრია, 18) | ბამერი (ავსტრია, 18) |
| დავენპორტი (აშშ, 32) | დავენპორტი (აშშ, 32) |
| კვალიფიკაცია – პინი (საფ) | |
| ლუა (საფ) – რუანო პასკუალი (ესპ) | |
| ივანოვიჩი (სერ, 2) | ივანოვიჩი (სერ, 2) |

| წინა ფინალები | |
|---|---|
| 1985 ნავრატილოვა (აშშ)-ევერტი (აშშ) | 6:2, 6:4 |
| 1986 ევერტი (აშშ)-გრაფი (გერ) | 6:4, 6:2 |
| 1987 გრაფი (გერ)-ევერტი (აშშ) | 6:1, 6:2 |
| 1988 გრაფი (გერ)-ევერტი (აშშ) | 6:4, 6:4 |
| 1989 საბატინი (არგ)-ევერტი (აშშ) | 6:1, 4:6, 6:2 |
| 1990 სელეში (იუგ)-ვიზნერი (ავსტრია) | 6:1, 6:2 |
| 1991 სელეში (იუგ)-საბატინი (არგ) | 6:3, 7:5 |
| 1992 სანჩეს ვიკარიო (ესპ)-საბატინი (არგ) | 6:1, 6:4 |
| 1993 სანჩეს ვიკარიო (ესპ)-გრაფი (გერ) | 6:4, 3:6, 6:3 |
| 1994 გრაფი (გერ)-ზვერევა (ბლრ) | 4:6, 6:1, 6:2 |
| 1995 გრაფი (გერ)-დატე (იაპ) | 6:1, 6:4 |
| 1996 გრაფი (გერ)-რუბინი (აშშ) | 6:1, 6:3 |
| 1997 ჰინგისი (შვეიც)-სელეში (აშშ) | 6:2, 6:1 |
| 1998 ვ. უილიამსი (აშშ)-კურნიკოვა (რუს) | 2:6, 6:4, 6:1 |
| 1999 ვ. უილიამსი (აშშ)-ს. უილიამსი (აშშ) | 6:1, 4:6, 6:4 |
| 2000 ჰინგისი (შვეიც)-დავენპორტი (აშშ) | 6:3, 6:2 |
| 2001 ვ. უილიამსი (აშშ)-კაპრიატი (აშშ) | 4:6, 6:1, 7:6 |
| 2002 ს. უილიამსი (აშშ)-კაპრიატი (აშშ) | 7:5, 7:6 |
| 2003 ს. უილიამსი (აშშ)-კაპრიატი (აშშ) | 4:6, 6:4, 6:1 |
| 2004 ს. უილიამსი (აშშ)-დემენტიევა (რუს) | 6:1, 6:1 |
| 2005 კლაისტერსი (ბელ)-შარაპოვა (რუს) | 6:3, 7:5 |
| 2006 კუზნეცოვა (რუს)-შარაპოვა (რუს) | 6:4, 6:3 |
| 2007 ს. უილიამსი (აშშ)-ანენი (ბელ) | 0:6, 7:5, 6:3 |

## ჩოგბურთი. ATP-ის ტური

# როჯერმა პრიზები მოხვეტა

მაიამის მასტერსის წინ, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) 2007 წლის სეზონი შეაჯამა და სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. აქედანვე უნდა ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით, ლაურეატებს შორის დიდი ცვლილებები არ მომხდარა.

ასე მაგალითად, ზედიზედ მეოთხედ წლის მოთამაშის ტიტული შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მოიპოვა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა კიდევ ორ ნომინაციაში გაიმარჯვა - **სტეფან ედბერგის** სახელობის პრიზი სპორტისადმი ერთგულების გამო (ზედიზედ მეოთხედ) და გარდა ამისა, როჯერი ATP-ის ოფიციალური ვებ-გვერდის მომხმარებელთა სიმპატიაც დაიმსახურა (ეს ზედიზედ მეხუთედ მოხდა).

"წლის წყვილის" ნომინაციაში ზედიზედ მესამე წელია არავის უთმობენ პირველობას ამერიკელი ტყუპი ძმები - **ბობ** და **მაიკ ბრაიანები**. ძმების დუეტი წყვილებში ფანებმაც გამოარჩიეს (ესეც ზედიზედ მესამედ).

ახლა ორი სიტყვით სხვა ნომინაციების შესახებ:

- კორტზე და მის მიღმა სამაგალითო ქცევის გამო, ხორვატმა **ივან ლუბიჩიჩმა არტურ ეშის** სახელობის პრიზი მიიღო.

- წლის ყველაზე პროგრესირებად მოთამაშედ სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დასახელდა.

- სეზონის საუკეთესო დებიუტანტი ფრანგი **ჟო-ვილფრედ ცონგა** გახდა, რომელმაც 2008 წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალს მიაღწია.

- წლის დაბრუნებად რუსი **იგორ ანდრეევი** მოინათლა.

- "მასტერსის" სერიის საუკეთესო ტურნირად მონტე კარლოს ჩემპიონატი დასახელდა, ხოლო "ოქროს სერიის" ტურნირებში აკაპულკომ აჯობა ყველას.

დაბოლოს, ჩოგბურთის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებს შორის ლეგენდარული კომენტატორი და ჟურნალისტი **ბად კოლინზი** გამოარჩიეს.

**გია თვალაბეიშვილი**



## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ოტავა 3:6**

0:1, 1:0, 2:5

**გოლები**: 0:1 შუბერტი-8 (ნილი-14, ვოლჩენკოვი-13), 1:1 დ. რუა-30 (ვანეკი-26), 2:1 დ. რუა-31 (მ. უებერი-2, აფინოგენოვი-17), 3:1 პომინვილი-27 (ჰეხტი-26, ტალინდერი-17), 3:2 მაკამონდი-8 (ვერმეტი-26, ვოლჩენკოვი-14), 3:3 ალფრედსონი-39 (სპეცა-56, ჰიტლი-41), 3:4 ვოლჩენკოვი-1 (ალფრედსონი-47), 3:5 ალფრედსონი-40, 3:6 ვერმეტი-20 (სტილმანი-40).

**ნიუ ჯერსი-პიტსბურგი 0:2**

0:1, 0:0, 0:1

**გოლები**: 0:1 მელოუნი-27 (რაიან უიტნი-27, გონჩარი-50), 0:2 მარიან ჰოსა-28 (მელოუნი-23, ორპიკი-10).

**რეინჯერსი-ფილადელფია 1:2 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები**: 1:0 იაგრი-20 (სტრაკა-24, დუბინსკი-24), 1:1 ბრიერი-30 (პროსპალი-36, მოდრი-8), 1:2 მ. რიჩარდსი-27 (ჯ. სმიტი-8).

**კაროლინა-ვაშინგტონი 2:3 (ბ)**

1:0, 1:2, 0:0, 0:0

**გოლები**: 1:0 ჯ. ჰემილტონი-7 (კორვო-31, ე. სტაალი-41), 1:1 სიომინი-23 (ფიოდოროვი-24, ბექსტრიომი-51), 1:2 ოვეჩკინი-61 (ბექსტრიომი-52, ვიქ. კოზლოვი-33), 2:2 ე. კოული-22.

**ბულიტები გაიტანეს**: ვიქ. კოზლოვი (ვაშინგტონი).

**კალგარი-ვანკუვერი 3:2**

0:2, 1:0, 2:0

**გოლები**: 0:1 ნესლუნდი-24 (ედლერი-12, ბ. მორისონი-16), 0:2 დ. სედინი-28 (ჰ. სედინი-56, ვ. მიტჩელი-10), 1:2 იგინლა-49 (ლენგკოუ-34, უ. პრიმო-3), 2:2 ლენგკოუ-29 (ტანგეი-40, იგინლა-44), 3:2 ფანოფი-17 (ა. ოკუანი-24, კონროი-22).

**ტორონტო-ბოსტონი 2:6**

0:1, 1:2, 1:3

**გოლები**: 0:1 გ. მიურეი-16 (ლეშოფი-3, ლუჩიჩი-17), 0:2 კრეისი-4 (შტურმი-28, ლეშოფი-4), 0:3 შტურმი-25 (კრეისი-16, ა. უორდი-7), 1:3 ჯ. ბლეიკი-15 (კუბინა-26, ტ. კაბერლე-45), 1:4 შ. ტორნტონი-4 (ლუჩიჩი-18), 2:4 პონიკაროვსკი-18 (უელვუდი-13, მაკეიბი-18), 2:5 კესელი-17 (მეტროპოლიტი-20), 2:6 რაიხი-2 (ნოკელაინენი-3, შ. ტორნტონი-3).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები**: 1:0 ულეტი-16 (ჰალპერნი-21, დ. ბოილი-18), 1:1 ბუტი-21, 2:1 ჰალპერნი-17 (ულეტი-18, ი. იოკინენი-23), 3:1 კუბა-5 (ჰალპერნი-22).

**ნეშვილი-კოლამბუსი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები**: 1:0 პლავაჩი-11 (არნოტი-43, ჟიდლიცკი-37), 2:0 არნოტი-28 (დუმონი-35, პლავაჩი-19), 3:0 ბონკი-13 (ერატი-33, კოისტინენი-13).

**სენტ ლუისი-დეტროიტი 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები**: 0:1 ზეტერბერგი-41 (კლირი-21, დაციუკი-60), 1:1 ე. მაკდონალდი-16 (კინგი-3), 1:2 ფრანცენი-23 (ლიდსტრიომი-58, რაფალსკი-41).

**ფინიქსი-სან ხოსე 5:4 (ო)**

0:0, 2:0, 2:4, 1:0

**გოლები**: 1:0 დ. მორისი-8 (ვინიკი-13, დოუნი-49), 2:0 ლისინი-3 (კარჩილო-10), 3:0 დოუნი-27 (ვინიკი-14), 3:1 ჯ. ტორნტონი-22 (რიონიკი-15, ვლასიჩი-12), 3:2 ვლასიჩი-2 (მარლო-25, ჯ. ტორნტონი-65), 4:2 რაინპრეხტი-16 (ტიარნკვისტი-6, უელერი-8), 4:3 ჯ. ტორნტონი-23 (რიონიკი-16, მ. მიხალეკი-28), 4:4 ჯ. ტორნტონი-24 (ერჰოფი-20, ბ. კემპბელი-49), 5:4 ჰანჟალი-7 (ბალარდი-15, დ. მორისი-15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. ოლიმპიადის წინ

# რეკორდები საცურაო კოსტუმების წყალობით

მიმდინარე საცურაო სეზონში, სხვადასხვა ტურნირზე მსოფლიოს 13 რეკორდი გაუმჯობესდა. მათგან ექვსი აინდჰოვენში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოდის, ოთხი კი - სიდნეიში მიმდინარე ავსტრალიის ჩემპიონატზე, რომელიც იმავდროულად, ოლიმპიურის შესარჩევი ტურნირიცაა.

სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციაში (FINA) ფიქრობენ, რომ რეკორდების გახშირების მიზეზი შეიძლება ახალი საცურაო კოსტუმები იყოს, რომლებიც მოცურავეების ნაკლებ შემხვედრ წინააღმდეგობას უზრუნველყოფს, ამის ხარჯზე კი მათი შედეგები მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

დამყარებული 13 რეკორდიდან 12 იმ მოცურავეებზე მოდის, რომლებიც კომპანია "სპიდოს" მიერ შექმნილი საცურაო კოსტუმებით (LZR რეისერი) ასპარეზობენ. ერთადერთი გამონაკლისი კი იტალიელი **ფედერიკა პელეგრინია**, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ბოლო რეკორდი 400 მეტრზე თავისუფალ სტილში, კომპანია "არენის" საცურაო კოსტუმში გამოწყობილმა დაამყარა. იმ მოცურავეებს შორის, რომლებმაც "სპიდოს" კოსტუმებით იასპარეზეს, ყველაზე შედეგიანი ფრანგი **ალენ ბერნარი** გამოდგა, რომელმაც მსოფლიოს სამი რეკორდის დამხობა (ორი ას მეტრზე, ერთიც 50 მეტრზე თავისუფალში) შეძლო.

FINA-ს აღმასრულებელ დირექტორ **კორნელ მარკულესკუს** განცხადებით, ახალი საცურაო კოსტუმების შესახებ მსჯელობა ერთი თვის შემდეგ, მოკლე აუზის მსოფლიო ჩემპიონატის დროს გაიმართება. ამ ჩემპიონატს ინგლისის ქალაქი მანჩესტერი უმასპინძლებს და მოსალოდნელია, რომ მასზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, დაუშვან თუ არა ამ კოსტუმების გამოყენება პეკინის ოლიმპიადაზე.

აღსანიშნავია, რომ საცურაო კოსტუმები, რომელთა ღირებულება 550 დოლარს აღწევს, თვითონ FINA-ს მიერაა ლიცენზირებული. ახალი ტიპის კოსტუმები მსუბუქი, წყლის ამსხლეტი მასალისგანაა დამზადებული, რომელიც ელექტრონებით მუშავდება და შეკერვის ნაცვლად, ერთმანეთს ამ დამუშავების პროცესში ეკვრის. ნაკერების არარსებობის გამო, კოსტუმის წყლის ნაკადისადმი წინააღმდეგობა მცირდება, რაც მოცურავეს საქმეს უადვილებს.



სალივენს ბერნარის რეკორდამდე ცოტა დააკლდა

აღსანიშნავია, რომ ბერნარს "სპიდოსთან" პირადი კონტრაქტი აქვს. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, მას ექსკლუზიური კონტრაქტი "სპიდოს" კონკურენტ "სვიმვეართან" აქვს დადებული. სხვათა შორის, ახალი კოსტუმების კიდევ ერთხელ შემოწმებას ამ კომპანიის ხელმძღვანელობაც მოითხოვს, რადგან მათ, ჯერჯერობით, ახალ ტექნოლოგიაზე ხელი არ მიუწვდებათ.

"სპიდომ" ახალი საცურაო კოსტუმების წარმოება შარშან დაიწყო და მისი პრეზენტაცია მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის წინ მოაწყო. იმ ჩემპიონატზე მსოფლიოს 11 რეკორდი გაუმჯობესდა, მაგრამ მაშინ სიახლის გამო აურზაური არავის აუტეხავს, რაც ძალიან აოცებს "სპიდოს" ავსტრალიური შტოს გენერალურ მენეჯერ **რობ დევისს**.

"სპიდოს" და "არენის" გარდა, ახალი ტიპის კოსტუმების წარმოება ცოტა ხნის წინათ "ადიდასმაც" დაიწყო, რომელთანაც კონტრაქტი ამერიკის ნაკრებს აქვს. ამდენად, ბევრი თვლის, რომ პეკინის ოლიმპიადაზე, მოცურავეებთან ერთად, ერთმანეთს საცურაო ეკიპირების მწარმოებლებიც შეეჯიბრებიან. ცნობისათვის, "არენის" კლიენტთა შორის ისეთი სახელოვანი მოცურავეცაა, როგორიც სამხრეთაფრიკელი **როლანდ შიომანია**. ამერიკელების შესახებ კი ლაპარაკიც არ ღირს - ამ გუნდში ხომ თვით **მაიკლ ფელპსი** ასპარეზობს.

შიომანი იხსენებს, რომ თავის დროზე, რუსმა **ალექსანდრ პოპოვმა** 50 მეტრზე თავისუფალში მსოფლიოს რეკორდი ჩვეულებრივი საცურაო შორტებით შემოსილმა დაამყარა. ეს რეკორდი კარგა ხანს ხელშეუხებელი იყო, მაგრამ ამ სეზონში ის ორჯერ გაუმჯობესდა: ეს ჯერ ავსტრალიელმა **იმონ სალივენმა** შეძლო, ვინც "სპიდოს" ეკიპირებით ასპარეზობს, შემდეგ კი მისი რეკორდი ბერნარმა გააუმჯობესა. სხვათა შორის, გუშინ სალივენი ბერნარის რეკორდის მოხსნასთან ახლოს იყო, მაგრამ ერთხელ მიზნამდე 0.02 წამი დააკლდა, მეორედ კი - 0.05 წამი.

შიომანი თვლის, რომ საკითხის განხილვის სურვილის მიუხედავად, FINA მაინც არაფერს შეცვლის. სპორტში სიახლეები ტექნოლოგიურ პროგრესს მოაქვს და მისი აკრძალვა არაფრით შეიძლებაო - ამბობს 50 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიოს ჩემპიონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი. NBA. გოლდენ სტეიტი

# უებერი წავიდა

ნარუმატებელი და დღევანდელი გადასახედიდან, სრულიად უაზრო გამოდგა ვარსკვლავი ფორვარდის, **კრის უებერის** დიდ კალათბურთში დაბრუნების მცდელობა. ტრავმებით განამებულმა ვეტერანმა ბოლომდე ვერ აღიდგინა ჩვეული ფორმა, ვერ გაუმართლა იმედები "გოლდენ სტეიტის" მთავარ მწვრთნელ **დონ ნელსონს** და ეს დიდი კალათბურთელი სულ მალე დაასრულებს კარიერას.

უებერის კალათბურთი ისევე ჩამთავრდება, როგორც ეს **ჩარლზ ბარკლის, კარლ მელოუნის, ჯონ სტოქტონისა და პატრიკ იუინგის** შემთხვევაში მოხდა, ანუ ჩემპიონობის გარეშე.



35 წლის ფორვარდმა ასეც ვერ მოირჩინა მარცხენა მუხლის ტრავმა, რომლის გამოც მან შარშან, "დეტროიტთან" ხელშეკრულების გაგრძელება ვერ მოახერხა, ახლა კი, ამავე მიზეზით, აქტიური კალათბურთიდან მიდის.

*"ცხოვრებაში ყველაფერი გეგმისამებრ ვერ მიდის. საჩემპიონო ბეჭდის მოპოვება ძალიან მინდოდა, მაგრამ ღმერთმა სხვაგვარად განსაჯა. ამ ქვეყანაზე ხომ ყველაფერი ზემოდან იმართება"*, - ამბობს უებერი, რომელიც ამ სეზონამდე ერთ მატჩში საშუალოდ 20.9 ქულას, 9.8 მოხსნასა და 4.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

კრისმა ზემოთ ნახსენები ტრავმა 2003 წლის პლეიოფში მიიღო და შემდეგი ხუთი სეზონის განმავლობაში საბრძოლო კონდიციები ვერაფრით დაიბრუნა. მიუხედავად ამისა, უებერი ყოველთვის გამოირჩეოდა "საკრამენტოშიც" და "დეტროიტშიც". და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდში უამრავი ვარსკვლავი ირიცხებოდა. საბოლოოდ, უებერმა ლიგაში 15 სეზონი გაატარა.

**ზურაბ თალაკვაძე**

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-ატლანტა 103:94**

26:30, 25:23, 28:14, 24:27

ჩ: გუდენი (31+16 მოხსნა), გორდონი (16), ჰაინრიხი (14+10 პასი+4 ჩაჭრა), დენგი (14+8 მოხსნა), ნოა (13+9 მოხსნა).

ა: ჩილდრესი (22), ბიბი (18+7 პასი+3 ჩაჭრა), სმიტი (16), ჯონსონი (15).

**დალასი-კლიპერსი 103:90**

28:24, 23:20, 31:24, 21:22

დ: ჰოვარდი (32+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), სტეკჰაუსი (20), დემპსი (32+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), კიდი (10+8 პასი).

კ: მაგეტი (21), ტომასი (13), მობლი (11), ნაისი (10), ფაზეკაში (10).

**ორლანდო-სან ანტონიო 97:107**

29:28, 27:30, 17:22, 24:27

ო: ჰოვარდი (24+21 მოხსნა), ლუისი (24), დულინგი (19), აროიო (17).

ს-ა: ჯინობილი (28), ფინლი (24), დანკანი (19+15 მოხსნა+4 დაფარება), პარკერი (11), ბოუენი (11).

**ინდიანა-ნ. ორლეანი 106:111**

28:29, 28:30, 23:27, 27:28

ი: გრეინჯერი (26), დანლივი (17), უილიამსი (17), ჰარისონი (12), მერფი (11), დინერი (10).

ნ-ო: უესტი (35+16 მოხსნა), პოლი (31+14 პასი+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (16), ჩენდლერი (15).

**იუტა-შარლოტი 128:106**

27:24, 31:20, 34:28, 36:34

ი: ბუზერი (28+13 მოხსნა), ოკური (20+10 მოხსნა), ჰარპრინგი (18), ბრიუერი (16+4 ჩაჭრა), კირილენკო (16+3 დაფარება), უილიამსი (14+15 პასი), კორვერი (10).

შ: რიჩარდსონი (26), უოლესი (21), ბოიკინსი (14), ფელტონი (13+6 პასი), კეროლი (10).

**პორტლენდი-ვაშინგტონი 102:82**

31:22, 28:21, 23:23, 20:16

პ: უებსტერი (23), აუთლო (20), ჯეკი (17+6 პასი), ფრაი (10), პრჟიბილა (6+17 მოხსნა).

ვ: ბატლერი (19+7 მოხსნა), დენიელსი (14+8 პასი), მეისონი (11), ჯეიმისონი (9+8 მოხსნა).

## TV სპორტი

### 27 მარტი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. რივერ პლეიტი (არგენტინა)-უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე).
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
21:05 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:15 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. რივერ პლეიტი (არგენტინა)-უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე).
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გუარანი-სან პაულუ.
09:47 ფეხბურთი. Barca TV.
09:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:11 სპორტდოსიე.
10:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. VI ტური. ბარსელონა-სევილია.
12:18 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
14:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ფილადელფია.
15:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:33 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:01 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ვესტ ჰემი.
18:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლამბუსი-ჩიკაგო.
22:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. რივერ პლეიტი (არგენტინა)-უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე).
23:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
00:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
01:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ტორონტო (LIVE).
05:40 სპორტდოსიე.
06:06 ფეხბურთი. Barca TV.
06:14 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.

#### EUROSPORT

11:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
13:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი. ჩინეთი.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
18:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
19:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია კანადა (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია კანადა (LIVE).
22:30 ველოსპორტი (ტრეკი). მსოფლიო ჩემპიონატი. II დღე. მანჩესტერი. ინგლისი (LIVE).
01:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-დანია კანადა (LIVE).
02:45 კიკ-ბოქსინგი.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
14:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ბილიარდი.
18:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. IV ტური. ესპანეთი.
20:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
21:15 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. დავოსი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პროფესიული კრივი. საშუალო წონა. ვ. სენჩენკო (უკრაინა)-ს. ზიმლევიჩი (პოლონეთი). დონეცკი. უკრაინა.
00:00 ახალი ამბები.
01:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. პლეიოფი. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ტრევიზო (იტალია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ბილიარდი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### მსოფლიო ჩემპიონატი

##### შესარჩევი. აზია

I ჯგუფი

ჩინეთი-ავსტრალია 0:0
კატარი-ერაყი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავსტრალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. კატარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 3. ჩინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ერაყი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

II ჯგუფი

ტაილანდი-ომანი 0:1
ბაჰრეინი-იაპონია 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაჰრეინი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. ომანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ტაილანდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

III ჯგუფი

ჩრ. კორეა-კორეა 0:0
თურქმენეთი-იორდანია 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 2. ჩრ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. იორდანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 4. თურქმენეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

IV ჯგუფი

უზბეკეთი-ს. არაბეთი 3:0
სინგაპური-ლიბანი 2:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უზბეკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. სინგაპური | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ს. არაბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ლიბანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

V ჯგუფი

სირია-საემიროები 1:1
ქუვეითი-ირანი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საემიროები | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ირანი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 3. სირია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. ქუვეითი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 0 |

#### ევრო 2009

##### UNDER 21

მაკედონია-შვეიცარია 2:1
კვიპროსი-ბელგია 0:2
ბოსნია-უელსი 1:2
ისრაელი-მოლდოვა 1:0
თურქეთი-ლიხტენშტაინი 3:0
ავსტრია-სლოვაკეთი 1:0
ჰოლანდია-ესტონეთი 3:0
პორტუგალია-ბულგარეთი 2:0
შოტლანდია-ფინეთი 2:1
სან მარინო-სერბეთი 0:5
ალბანეთი-საბერძნეთი გადაიდო

#### ამხანაგური მატჩები

##### UNDER 21

ირლანდია-რუმინეთი 1:3
ხორვატია-უნგრეთი 3:1
სლოვენია-რუსეთი 0:4
დანია-შვედეთი 0:1
საფრანგეთი-ჩეხეთი 4:1

#### საბერძნეთი

##### II დივიზიონი

ტრასივულოსი-იანინა 2:1

### კალათბურთი

#### საბერძნეთის თასი

ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი 79:81

#### ესპანეთი

ბილბაო-რეალი 78:79
ხუვენტუდი-ესტუდიანტესი 97:89
ვალენსია-ფუენლაბრადა 80:71
ბარსელონა-გრანადა 85:75
ხირონა-მანრესა 89:98

### ჰოკეი

#### რუსეთი

აკ ბარსი-ს. იულიაევი 3:4

#### გერმანია

აისბარენი-ჰამბურგი 3:3
ფრანკფურტი-იზერლონი 4:2
კიოლნი-მანჰაიმი 4:1
ნიურნბერგი-დიუსელდორფი 2:3

#### ფინეთი

იოკერიტი-კიეკო 3:3
ტაპარა-კერპეტი 2:4

#### ჩეხეთი

კარლოვი ვარი-ბუდეიოვიცე 5:4

#### შვედეთი

ჰვ 71-ტიმრა 2:1
ლინჩოპინგი-ფერიესტადი 5:1

### ჩოგბურთი

#### ATP. მაიამი

ჩილიჩი-ვლიეგენი 6:3, 6:2
მალისე-ერნანდესი 6:1, 6:1
მაუ-მაიერი 7:6, 6:3
ტურსუნოვი-კოროლიოვი 4:6, 6:3, 6:2
როიტმანი-**ბეკერი** 3:6, 4:6
ვარბურგი-სტარაჩე 7:6, 6:2
კუერი-ბერლოკი 7:6, 6:3
გროსჟანი-კუერტენი 6:1, 7:5
ნიშიკორი-**მონტანიესი** 5:7, 2:6
ჰაასე-**ბერერი** 4:6, 4:6
კალერი-**ანდერსონი** 6:7, 6:3, 6:7

#### WTA. მაიამი

ერაკოვიჩი-მიულერი 6:4, 6:7, 6:2
ჩანი-ოლარუ 6:1, 2:6, 6:1
კრეიბასი-**დომახოვსკა** 4:6, 6:0, 6:7
ამანმურადოვა-**კერბერი** 5:7, 1:6
მორიგამი-**ერანი** 2:6, 6:3, 4:6
ზაკოპალოვა-**გალოვიტცი** 4:6, 1:6
ვოზნიაჩკი-პირონკოვა 6:4, 7:5
ვესნინა-ლიხოვცევა 6:4, 6:4
კანეპი-კვიტოვა 3:6, 7:5, 7:5
დეში-ნაკამურა 6:0, 6:0
დულკო-**პერებიინისი** 4:6, 6:7
დე ლოს რიოსი-მოისბურგერი 6:2, 4:6, 6:4
ჰარკლროუდი-გალიარდი 6:4, 6:3

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. საჩვენებელი მატჩი

# ჩოგბურთი წყალზე

მაიამის გარეუბანში, სასტუმრო Gansevoort-ის სახურავზე უნიკალური საჩოგბურთო მატჩი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ ესპანელი **რაფაელ ნადალი** და ამერიკელი **სერენა უილიამსი** წარსდგნენ. პირველად ჩოგბურთის ისტორიაში შეხვედრა წყლით დაფარულ მოედანზე ჩატარდა.

ეს აქცია Sony Ericsson Open-ის ორგანიზატორებმა მოაწყვეს. როგორც იცით, გუშინ მაიამიში სეზონის რიგით მეორე მასტერსი დაიწყო და ეს საჩვენებელი მატჩიც ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიეძღვნა.

კორტი Gansevoort-ის სახურავზე მდებარე საცურაო აუზში მოაწყვეს. ამისთვის მყვინთავები წყალქვეშ ხუთი დღე მუშაობდნენ. მათ 110-ფუტიანი აუზის მოპირდაპირე ბოლოებში უხილავი პლატფორმა დაამაგრეს, რისი წყალობითაც, კორტის იატაკი შეუმჩნეველი იყო და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ჩოგბურთელები წყალზე გადაადგილდებოდნენ. ეს ეფექტი სპეციალური მასალით დამზადებული ფილების წყალობით იქნა მიღწეული.

გია თვალაბეიშვილი




ჩოგბურთი. ბომონდი

# მარიას პენტჰაუსი



ერთ-ერთი წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ რუსმა ვარსკვლავმა **მარია შარაპოვამ** ისრაელის კურორტ ნეთანიაში 2 მილიონ დოლარად ფეშენებელური აპარტამენტები შეიძინა. ამ დღეებში, ინტერნეტით მარიას ახალი პენტჰაუსის გეგმა გავრცელდა.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე თავისი კუთხის მოწყობას შარაპოვა დიდი ხანია გეგმავდა. ისრაელში ფედერაციის თასზე ყოფნისას, რუსმა ჩოგბურთელმა ასეთი რამ განაცხადა: *"მირჩევნია იქ დავისვენო, სადაც მზე და პლაჟია. დანარჩენს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს"*.

ამიტომაც, ტურნირებს შორის თავისუფალ დროს, ისრაელელმა რიელტორებმა მარიას ნეთანიაში გამგზავრება შესთავაზეს, რაზეც ჩოგბურთელმა თანხმობა განაცხადა. შარაპოვასთვის წინათგრძნობას არ უღალატია. მას ირ-იამიმის რაიონში პირდაპირ ზღვის სანაპიროზე აშენებული მრავალსართულიანი სახლი ანახეს. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება.

მდიდრულ პენტჰაუსში ექსკლუზიური დიზაინით შექმნილი ხუთი ოთახია, რასაც ემატება ვერანდა ზღვისკენ ხედით.

მარია არც იმას შეუშინებია, რომ მისი აპარტამენტები მე-13 სართულზეა განთავსებული. **"ცრუმორწმუნე არ ვარ,** - განაცხადა შარაპოვამ. - *მით უმეტეს, რომ ბინის ზემოთ აუზის აშენების პერსპექტივა არსებობს"*.

სახლის ბრტყელი სახურავიც მომგებიანია: 350 კვადრატული მეტრი ბინის გარდა, შარაპოვას მფლობელობაში გადავიდა ასეთივე ფართობის ტერიტორია (სახურავი) ზღვის განუმეორებელი ხედით. იქ მარია საცურაო აუზის აშენებას გეგმავს. ასევე სახურავზე, პირდაპირ ღია ცის ქვეშ მოაწყობს სატრენაჟორო დარბაზს. ის იქ გარუჯვასაც შეძლებს, თანაც ისე, როგორც მოესურვება.

პაპარაცებს არათუ ფოტოების გადაღება, შარაპოვას სახლთან ახლოს მისვლის საშუალებაც არ ექნებათ. 24-საათიანი დაცვა და სათვალთვალო კამერები შენობის მთელ პერიმეტრზეა განლაგებული.

ცნობისთვის, მარია შარაპოვას ვილა აქვს ფლორიდაში და ბინა კალიფორნიაში.

გია თვალაბეიშვილი

